გაბრწყინდა ნათელი გამხნევდით!

+ ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

„ბნელში მოარულმა ხალხმა იხილა დიდი ნათელი;
სიკვდილის აჩრდილის ქვეყნის მცხოვრებლებზე გაბრწყინდა იგი“ (ეს. 9, 2).

ნუთუ ამ ნათელს ძალუძს, გვანუგეშოს და გვიხსნას იმ დიდ სიღატაკესა და თავკერძობაში, ირგვლივ რომ გვაკრავს? კონკრეტულად შეძლებს კი, რომ მშვიდობა დაამყაროს, თუკი ყოველდღიურად ახალ-ახალი კონფლიქტის კერა ჩნდება, ან იყენებენ კონფლიქტებს საკუთარი დიდებისა და ანგარებისათვის? ძალუძს კი პატიოსნების წახალისება, თუკი ყოველდღიურად აღმოჩნდება ახალ-ახალი თაღლითობა და უსამართლობა? ძალუძს პიროვნებათა პატივისცემის განმტკიცება, თუკი ყოველდღიურად ძალადობისა და მკვლელობის მოწმენი ვხდებით? შეგვიძლია ვიმედოვნოთ მეტად სამართლიანი და მშვიდი მსოფლიო, ისე, რომ ვინმემ არ მიგვიჩნიოს მიამიტებად და დოყლაპიებად?

ეს ნამდვილი კითხვებია, არა რიტორიკული. ამიტომაც რთულია მათზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა. და მაინც, იესოს დაბადება „ბეთლემში, დავითის ქალაქში“ გვამხნევებს, განვაგრძოთ იმედი, სიყვარული, მიტევება მაშინაც კი, თუ ჩვენი აწმყო ბნელია, ხოლო მომავალი გაურკვეველი.

ყოველი დროისა და ყოველი ადგილის ქრისტიანები მოხმობილნი არიან, იყვნენ მამაცი ადამიანები! მამაცობას მოწმობს არამხოლოდ ის ორმოცდაათი მილიონი კაცი თუ ქალი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იდევნებიან თავიანთი რწმენის გამო და სადაც ქრისტიანის სახელიც კი კმარა შეურაცხყოფისა და სიკვდილისათვის. მოწმობენ აგრეთვე ისინი, ვისაც სწამს, რომ სიცოცხლე უნდა დაიცვა და იცხოვრო მის ყოველ მონაკვეთში, განთიადიდან მზის ჩასვლამდე; ისინიც, ვინც ტოვებენ საკუთარ ქვეყანასა და პროფესიას, რათა სახარება გაავრცელონ მსოფლიოს სხვა მხარეებში; ისინიც, ვინც ჯიუტად იბრძვიან სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის და ამის საფასურს თავად იხდიან საკუთარი დიდი თუ მცირე ყოველდღიური ვალდებულებების ერთგულად შესრულებით. დიახ! შეგვიძლია ხმამაღლა ვთქვათ: დღესაც მრავალი ავლენს რწმენის მამაცობას. მე კი, სად ვმოწმობ იმ მამაცობას, რომელიც შობისგან იბადება?

დედა ტერეზა კალკუტელი ამბობდა: „შობა შემოდის ყოველთვის, როცა ძმას გაუღიმებ და ხელს გაუწვდი. შობა შემოდის ყოველთვის, როცა იყუჩებ, რათა დაუგდო ყური. შობა შემოდის ყოველთვის, როცა არ ეთანხმები იმ საფუძვლებს, რომლებიც ჩაგრულს რიყავს ჩვენი ქალაქის მიღმა. შობა შემოდის ყოველთვის, როცა შენ იმედოვნებ იმის გვერდით, ვისაც, ხორციელ თუ სულიერ სიღატაკეში, სასოება გადასწურვია. შობა შემოდის ყოველთვის, როცა თავმდაბლობით აღიარებ შენს სიცოტავეს და უძლურებას. შობა შემოდის ყოველთვის, როცა უფალს ნებას რთავ, შენში იშვას, რათა გაუწოდო იგი მოყვასს“.



ძვირფასო ძმაო და დაო, იმედიდან, რომელიც შენს გულშია, იბადება მამაცობა. საჭიროა მამაცობა, რომ დღესაც თქვა „გილოცავ შობას!“, ოღონდ, თუ შეხედავ და მუხლს მოიყრი იმ ჩვილის წინაშე, რომელიც შენთვის დაიბადა, კვლავ განახლდება მამაცობა.

ჩვილმა ღმერთმა მადლი, მშვიდობა და მამაცობა გაჩუქოთ ყველას, თქვენს ოჯახებს, განსაკუთრებით მარტოხელებს, სნეულთ, ყველა მიტევებულს - ღმერთის საყვარელ ხალხს.

„ჩვენ ვართ დრო... კარგი დროება“

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS, მთავარი რედაქტორი



გამოვიდა პაპ ლეონ XIV-ის ახალი წიგნი (2025 წლის 20 ნოემბერი): ეს გახლავთ მისი კრებული მისი გამოსვლებისა, თავმოყრილი დღევანდელი ქრისტიანობის ათ საკვანძო სიტყვაში: **ქრისტე, გული, ეკლესია, მისია, ურთიერთობა, მშვიდობა, ღარიბნი, სიმყიფე, სამართლიანობა, იმედი. მათში მოცემულია სახარების ძალა**. ახალი წლის დამდეგს, ამ სიტყვებიდან მე ავირჩევ მხოლოდ სამს: **ქრისტე, ურთიერთობა, მშვიდობა**, და შემოგთავაზებთ რამდენიმე ტექსტს წმიდა მამის მიერ მომზადებული იმავე შესავლიდან.

უწინარესად, **ქრისტე**, მისი მთავარი ადგილი; ყველა მონათლულს ებოძა მასთან შეხვედრის მადლი, შეეხო მისი ნათელი და წყალობა. ქრისტიანობის საიდუმლოც ეს არის: ღმერთს სწადია ჩვენთან ერთობა, ჩვენთან დაახლოება, ჩვენს მეგობრად გახდომა, რათა შევძლოთ თავად **ის** გავხდეთ. წმიდა ავგუსტინე წერს: „გესმით, ძმებო? აცნობიერებთ მადლს, რომელიც ღმერთმა გვიბოძა? განცვიფრდით, გიხაროდეთ: ჩვენ ქრისტედ ვიქეცით! თუ ქრისტე თავია, ხოლო ჩვენ - წევრნი, სრული ადამიანი არის ის და ჩვენ“.

ქრისტე **ურთიერთობის** დასაბამია. მთელი მისი არსებობა აღნიშნული იყო იმ სურვილით, რომ ყოფილიყო ხიდი: ხიდი კაცობრიობასა და მამას შორის, ხიდი იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ის ხვდებოდა, ხიდი მასსა და გარიყულებს შორის. ეკლესია ქრისტეს ურთიერთობაა, რომელიც მთელი ისტორიის განმავლობაში გრძელდება, და საკრებულოა, რომელიც ერთიანობაში ცხოვრობს მრავალფეროვნებით. მორწმუნეთა კრებულის სილამაზის საჩვენებლად ავგუსტინე იყენებს ბაღის მხატვრულ სახეს: „მას ეკუთვნის, ძმებო, უფლის ეს ბაღი, მას ეკუთვნის არა მხოლოდ მოწამეთა ვარდები, არამედ ქალწულთა შროშანებიც, მეუღლეთა სუროები და ქვრივთა იები. ერთი სიტყვით, საყვარელნო, ცხოვრების არცერთ მომენტში არ უნდა დაეჭვდნენ ადამიანები თავიანთ მოწოდებაში: ქრისტე ყველასთვის მოკვდა. სრული ჭეშმარიტებით მასზე დაწერილია: *„რომელსაც ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების ცოდნას“* (1ტიმ. 2,4). იესო გვაერთიანებს ჩვენი პიროვნების, კულტურული და გეოგრაფიული წარმომავლობის, ენისა და ისტორიის მიუხედავად. ომებით დაღდასმულ დღევანდელ სამყაროში, ქრისტიანებს ძალუძთ და მართებთ კიდეც ამ თანხმობის, ძმობის, ახლობლობის დამოწმება. ეს არაა დამოკიდებული მხოლოდ ჩვენს ძალებზე, ეს ზეციდან ბოძებული ძღვენია, ძღვენი იმ ღმერთისა, რომელმაც თავისი

სულით აღგვითქვა, რომ მარად ჩვენ გვერდით იქნებოდა: „რაც უფრო მეტად უყვარს ადამიანს ეკლესია, მით უფრო მეტად ეძლევა მას სულიწმიდა“.

ეკლესია, სხვადასხვა ხალხთა სახლი, შეიძლება იქცეს იმის ნიშნად, რომ განწირულნი არ ვართ მუდმივ უთანხმოებაში ცხოვრებისათვის და შეგვიძლია სინამდვილედ ვაქციოთ ოცნება შერიგებული, მშვიდობიანი და ჰარმონიული კაცობრიობის შესახებ. ამ ოცნებას აქვს საფუძველი: იესო, ლოცვა მამისადმი მისი ხალხის ერთიანობისათვის. ხოლო თუ იესო ევედრებოდა მამას, მით უფრო მეტად უნდა ვევედროთ მას, რომ მოგვანიჭოს მშვიდობა მთელ სამყაროში.

დაბოლოს, **მშვიდობა**. სწორედ ქრისტე, ვნებისას მიყენებული იარებით, ხვდება თავისიანებს და ეუბნება: „მშვიდობა თქვენდა“. წმიდანებმა თავიანთი ცხოვრებით დაამოწმეს, რომ სიყვარული ამარცხებს ომს, რომ მხოლოდ სიკეთე ამარცხებს ბოროტებას და რომ არაძალადობას შეუძლია ჩაგვრის განადგურება. უნდა დავაკვირდეთ ჩვენს სამყაროს: ჩვენ მეტად აღარ შეგვიძლია უსამართლობის ატანა, რა დროსაც მეტი ეძლევა მას, ვისაც მეტი აქვს და პირიქით, ვინც ცოტას ფლობს, ის სულ უფრო და უფრო ღატაკდება. დაახლოებით 1600 წლის წინ ნეტარმა ავგუსტინემ განაცხადა: „მოდით, ვიცხოვროთ კარგად და დროც კარგი იქნება. ჩვენ ვართ დრო. როგორიც ვართ ჩვენ, ისეთია დრო“. ჩვენ თავად შეგვიძლია შევქმნათ დროება, ჩვენი მოწმეობით, ლოცვით სულიწმიდისადმი, რათა მან გაგვაძლიეროს, შეგვეწიოს, რათა მივიღოთ ქრისტეს მადლი და მთელ მსოფლიოში გავავრცელოთ მისი გულმოწყალებისა და სიყვარულის სურნელი. „ჩვენ ვართ დრო“: ნუ დაგვეუფლება სასოწარკვეთილება იმ ძალადობის გამო, რომლის მოწმენიც თავად ვართ; ყოველდღე შევთხოვოთ მამა ღმერთს სულიწმიდის ძალა, რათა მშვიდობის ცოცხალმა ნაპერწკალმა გაიბრწყინოს ისტორიის სიბნელეში.

მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი გზავნილი, 2026 წლის 1 იანვარი

„მშვიდობა თქვენდა!“ - ეს იყო პაპ ლეონ XIV-ის პირველი სიტყვები, რომლითაც მან არჩევისთანავე მიმართა 8 მაისს წმ. პეტრეს მოედანზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ ასობით ათას მორწმუნეს. და ამ სიტყვებით, რომელიც აშკარად სახარებისეული და დროულია, მან უკვე განსაზღვრა მშვიდობის 59-ე მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი გზავნილის თემა: **„მშვიდობა თქვენდა: „განიარაღებული და განმაიარაღებელი“ მშვიდობისაკენ“.** თავის მიმართვაში პაპი „მოუწოდებს კაცობრიობას, რომ უარყოს ძალადობისა და ომის ლოგიკა და მიიღოს ნამდვილი მშვიდობა, სიყვარულსა და სამართლიანობაზე დაფუძნებული“. ეს სიტყვები, რომლებსაც გამუდმებით იმეორებს რომის ეპისკოპოსი, კიდევ ერთხელ კარნახობს მსოფლიო ლიდერებს მკაფიო პოლიტიკურ ხაზს, საერთაშორისო სამშვიდობო მოლაპარაკებებში არსებული ჩიხის გათვალისწინებით, განსაკუთრებით უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ 1968 წლის იანვარში, მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ პირველ მიმართვაში, პაპმა პავლე VI-მ ისაუბრა „საფრთხის შესახებ, რომელიც არსებობს იმ რწმენის გამო, რომ საერთაშორისო დავები ვერ გადაწყდება გონიერებით, ანუ კანონზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზე დაფუძნებული მოლაპარაკებებით“. დღესაც, ლეონ XIV, თავისი პონტიფექსობის პირველივე წუთებიდან მოყოლებული, განუხრელად მიმართავს კონფლიქტებში ჩართულ ლიდერებს და ყველა იმ პირს, რომელთაც შუამავლის როლის შესრულება შეუძლიათ ცეცხლის შეწყვეტის საქმეში, და უფრო მეტიც. 2026 წლის მსოფლიო მშვიდობის დღისადმი მიძღვნილი გზავნილით, პაპს სურს შეგვახსენოს, რომ ვერცერთი ადამიანი ვერ გამოაკლდება იმ მოწოდებას, რომ იღვაწოს ძმური საზოგადოების ასაშენებლად. „აღმდგარი ქრისტეს მისალმება „მშვიდობა თქვენდა“, - ნათქვამია გზავნილში, - მოწვევაა ყველასთვის, მორწმუნეებისა და ურწმუნოების, პოლიტიკური ლიდერებისა და მოქალაქეებისათვის, რათა იღვაწონ ღვთის სამეფოს ასაგებად და ჰუმანური და მშვიდობიანი მომავლის ერთად ასაშენებლად“.

ლეონ XIV მიიჩნევს, რომ „მშვიდობა“, უპირველესად, „ღვთის მადლია, ქრისტეს პირველი მადლი“, როგორც აღნიშნა მან გასული წლის მაისში დიპლომატიურ კორპუსთან გამართულ აუდიენციაზე. გარდა ამისა, „მშვიდობა“, რისკენაც იგი მოუწოდებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ დაფიქრდნენ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ, არ გულისხმობს იარაღის გამოყენებას, როგორც კონფლიქტის მოგვარების საშუალებას, ამით ის ერთგულად მიუყვება პაპ ფრანცისკეს მიერ გაკვალულ გზას. „მშვიდობა უნდა განიარაღდეს, ანუ უნდა ეფუძნებოდეს არა შიშს, მუქარას ან შეიარაღებას, არამედ განიარაღებას, რამეთუ მას ძალუძს მოაგვაროს კონფლიქტები, გახსნას გულები და წარმოშვას ნდობა, თანაგრძნობა და იმედი“. ამიტომ არ კმარა მხოლოდ იარაღის გაყიდვის შეწყვეტა და ქვემეხების გაჩუმება; კაცობრიობამ უნდა შეცვალოს თავისი ზედაპირული შეხედულება სამყაროსადმი. სწორედ ამიტომ არის „მშვიდობისაკენ მოწოდება“ მხოლოდ პირველი ნაბიჯი და ამას უნდა მოჰყვეს „ცხოვრების იმ წესის შესისხლხორცება, რომელიც უარყოფს ძალადობის ყველა ფორმას, ხილულსა თუ სტრუქტურულს“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

უწმიდესი ლეონ მეთოთხმეტის პირველი სამოციქულო მოგზაურობა

ვიზიტი თურქეთში: 27 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე უწმიდესი პაპი თურქეთსა და ლიბანს სტუმრობდა. „ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა“ - ასეთი იყო თურქეთში პონტიფექსის ვიზიტის დევიზი. თურქეთში ვიზიტისას პაპი ქემალ ათათურქის მავზლეუმს ეწვია, ანკარის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხელისუფლების, საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მიმართა, სტამბოლის სულიწმიდის საკათედრო ტაძარში თურქეთში მოღვაწე კათოლიკე სამღვდელოებასა და ადგილობრივი მრევლის წევრებს შეხვდა. „წელს ნიკეის კრების 1700 წლისთავი აღინიშნება. ეს ოდინდელი დღესაც აქტუალურია. ნიკეის კრება ჩვენ წინაშე ამოცანათა რიგს სახავს. პირველი რწმენისა და ქრისტიანად ყოფნის არსის გაგებაა. მეორე - ქრისტეში მამა ღმერთის სახის დანახვა. მესამე - რწმენის შუამდგომლობა და მოძღვრების განვითარება... ქრისტიანული მოძღვრება აბსტრაქტული, სტატიკური იდეა როდია. მასში ქრისტეს საიდუმლო აისახება. ეს ცოცხალი რეალობაა, რომელიც ვითარდება და რომელშიც სულ უფრო სრულად ვლინდება რწმენის არსი“, - აღნიშნა თავის სიტყვაში უწმიდესმა პაპმა. ვიზიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქალაქ იზნიქში (უწინ - ნიკეა) აღვლენილი ეკუმენური ლოცვა გახდა. პაპმა ლეონ მეთოთხმეტემ, მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოსმა, სხვადასხვა ქრისტიანულ თემთა მეთაურებმა ერთად წარმოთქვეს მრწამსი, ერთად აღავლინეს ლოცვა და უფალს ქრისტიანული ერთობის ნიჭი შესთხოვეს. ვიზიტის მესამე დღეს, 29 ნოემბერს, უწმიდესი პაპი სულთან აჰმედის მეჩეთს (სტამბოლის ე. წ. „ცისფერი მეჩეთი“) ეწვია. იმავე დღეს, საღამოს, სტამბულის Volkswagen Arena-ს კომპლექსში პონტიფექსმა წმიდა წირვა აღავლინა. 30 ნოემბერს, ანდრია მოციქულის ხსენების დღეს, სტამბოლის წმიდა გიორგის საპატრიარქო ტაძარში ლეონ მეთოთხმეტემ მონაწილეობა მიიღო საღმრთო ლიტურგიაში და პატრიარქ ბართოლომეოსთან ერთად ლოცვა აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ პაპი ლიბანში გაემგზავრა.

ვიზიტი ლიბანში: ,,ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი“ - ასეთი იყო ლიბანში სამოციქულო ვიზიტის დევიზი. აეროპორტში პონტიფექსს ქვეყნის პრეზიდენტი და ანტიოქიის მარონიტთა პატრიარქი, ბეშარ ბუტროს რაი შეხვდნენ. აეროპორტიდან პაპი პრეზიდენტის სასახლეში გაერმართა, სადაც მთავრობის წევრებს შეხვა. შემდეგ ლეონ მეთოთხემეტემ შარბელ მახლუფის საფლავი მოილოცა. წმიდა მარონის მონასტერთან, სადაც შარბელის ნეშტია დასვენებული, თავი მოიყარეს ლიბანელმა მორწმუნეებმა, რომელთაც პაპთან ერთად ლოცვის აღვლენა სურდათ. ვიზიტის მეორე დღეს პაპი ბეირუთის პორტს ეწვია, სადაც 2020 წელს აფეთქების შედეგად დაღუპულთათვის ილოცა. 1-ელ დეკემბერს წამებულთა მოედანზე გაიმართა ეკუმენური და რელიგიათაშორისი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლიბანის სხვადასხვა რელიგიურ თემთა ლიდერებმა. იმავე დღეს ლიბანის ღვთისმშობლის ტაძარში უწმიდესი პაპი ქვეყნის კათოლიკე სამღვდელოებასა და ბერმონაზვნებს შეხვდა. ვიზიტის ბოლო დღეს პაპი წმიდა ჯვრის დების ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ეწვია. „აქ ქრისტე სუფევს. სნეულებსა და იმ ადამიანებში, რომლებიც მათთვის ზრუნავენ“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა. საღამოს ანტიოქიის მარონიტთა

საპატრიარქოსთან განლაგებულ მოედანზე უწმიდესი პაპი ქვეყნის ახალგაზდებს შეხვდა. თავის მიმართვაში პონტიფექსმა აღნიშნა, რომ მშვიდობისთვის ღვაწლის საფუძველი მხოლოდ ქრისტეა - ჩვენი სასოების წყარო, სიყვარულის მოწმე და ქვეყნის გამომსყიდველი. ბოროტებას დავამარცხებთ არა ბოროტებით, არამედ სიყვარულით. მხოლოდ სიყვარულით შევძლებთ როგორც ჩვენი, ასევე სხვათა, იარების მოშუშებას.

პაპ ლეონ მეთოთხმეტისა და პატრიარქ ბართოლომეოს პირველის ერთობლივი დეკლარაცია

29 ნოემბერს, სტამბულში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო რეზიდენციაში უწმიდესმა პაპმა და მსოფლიო პატრიარქმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას. „ჩვენი პატივგებული წინამორბედების დარად, სიყვარულითა და ჭეშმარიტებით, მტკიცედ ვაგრძელებთ სვლას დიალოგის გზით, ჩვენი ეკლესიების ერთობის სრულ აღდგენამდე. ნიკეის კრების იუბილე, რომელიც ჩვენი შეხვედრის დამდეგს აღვნიშნეთ, მხოლოდ კრების ისტორიულ მნიშვნელობას კი არ გვახსენებს, არამედ გვიბიძგებს იმისკენ, რომ გული გავუხსნათ სულიწმიდას, რომელიც ნიკეის კრების მამათა მიერ ლაპარაკობდა... ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ გვაერთიანებს რწმენა, რომელიც ნიკეის მრწამსშია ასახული... მადლობას ვწირავთ უფალს, იმისთვის რომ წელს მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ აღდგომა ერთ დღეს იზეიმა. ერთობლივად განვაგრძობთ შესაძლო გადაწყვეტილების ძიებას, იმისთვის რომ ყოველწლიურად ერთად შევძლოთ დღესასწაულთა დღესასწაულის აღნიშვნა... ღრმად გვამწუხრებს შექმნილი საერთაშორისო ვითარება, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ღმერთი არ დატოვებს კაცობრიობას. მოვუწოდებთ კეთილი ნების ყველა ადამიანს, ერთად იღვაწონ სამართლიანი და მშვიდობიანი სამყაროს აღშენებისთვის, ერთად იზრუნონ მთელი ქმნილებისთვის, რომელიც ღმერთმა მოგვანდო“, - ნათქვამია დოკუმენტში.

წმიდა პეტრეს მოედანზე საშობაო ნაძვის ხე აკიაფდა

ელს 25-მეტრიანი ნაძვის ხე იტალიის ჩრდილოეთიდან, ბოლცანოს ოლქიდან ჩამოიტანეს. ბოლცანო განთქმულია თავისი ლამაზი ბუნებით - მთებით, ტყეებით, ტბებითა და მინდვრებით. ნაძვი გულდასმით იქნა შერჩეული ტყის დაცვის სამსახურის მიერ ტყეთა განახლების პროცესის გათვალისწინებით. VaticanNews-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ბოლცანო-ბრესანონეს ეპისკოპოსმა ივო მუსერმა განმარტა, რომ სატყეო მეურნეობათა მართვის პროცესში ხეების, მათ შორის, ნაძვების მოჭრა ტყეზე ზრუნვის სტრატეგიის ნაწილია, რომლის მიზანი ტყის შენარჩუნება და მისი ზრდის კონტროლია. VaticanNews-ის ცნობით, საშობაო და საახალწლო დღესასწაულების დასრულების შემდეგ ავსტრიული კომპანია Wilder Naturprodukte სადღესასწაულო ნაძვებიდან ეთერზეთს გამოწურავს, ხოლო დარჩენილი ხის მასალა მეორეული გადამუშავების საწარმოს გადაეცემა.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

პაპთან შეხვედრა სტამბულში: სიმცირის ძალა და ერთიანობის ხიდები

ამა წლის 27 ნოემბერს სტამბულმა უმასპინძლა პაპ ლეონ XIV-ის პირველ საერთაშორისო ვიზიტს. ასე ახლოს, ჩვენს სამეზობლოში ჩამოსულ პაპთან შეხვედრის სურვილი ბუნებრივად დაიბადა საქართველოში. სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანი ჯგუფის მიღება ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს და საქართველოს კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლები - ოთხი მღვდელი, დიაკონი და ეპისკოპოსი გავემგზავრეთ წმიდა მამასთან შესახვედრად. ეს იყო განსაკუთრებული მომენტი არა მხოლოდ თურქეთის კათოლიკე საკრებულოსათვის, არამედ მთელი კავკასიისთვისაც.

წმიდა სულის საკათედრო ტაძარში - 28 ნოემბერს, დილის ცხრა საათზე, შიშლის უბანში მდებარე წმიდა სულის საკათედრო ტაძარში, პაპი ლეონი შეხვდა თურქეთში მოღვაწე ეპისკოპოსებს, მღვდლებს, დიაკვნებს, ბერმონაზვნებსა და საეკლესიო მუშაკებს. ატმოსფერო განსაკუთრებული იყო - ამ ეკლესიაში მსახურებს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ხალხი, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება თურქეთის მცირე კათოლიკე თემის სამსახურს მიუძღვნეს. წმიდა მამამ ისაუბრა ყველასათვის საგულისხმო თემაზე: რა ხდება, როცა ეკლესია რიცხვობრივად პატარაა? თურქეთში, 85 მილიონიან მუსულმანურ ქვეყანაში, დაახლოებით 33-35 ათასი კათოლიკეა.. წმიდა მამამ ეს გარემოება არ წარმოადგინა სისუსტედ. ,,როცა ჩვენ ღვთის თვალებით შევხედავთ, დავინახავთ, რომ იგი (ღმერთი) ირჩევს სიმცირის გზას, დამდაბლებას, განკაცებას", - თქვა პაპმა. მან შეახსენა ყველას იესოს ნათქვამი მცირე მარცვალზე, რომელიც იზრდება და იქცევა დიდ ხედ. იმოწმებდა პაპ ფრანცისკეს სიტყვებსაც: ,,ქრისტიანულ თემს, რომელშიც მორწმუნეები, მღვდლები და ეპისკოპოსები სიმცირის გზას არ მიჰყვებიან, მომავალი არა აქვს... ღვთის სასუფეველი იზრდება მცირე, პატარა საგნებში". ეს სიტყვები განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს კათოლიკე თემისთვისაც. ჩვენც რიცხვობრივად მცირენი ვართ, მაგრამ პაპის სიტყვებმა შეგვახსენა: ძალა რაოდენობაში როდია, არამედ რწმენის ხარისხსა და დამოწმების სიძლიერეში.

ნიკეა - ისტორიის სიღრმიდან. 2025 წელი ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების 1700 წლისთავის წელია - სწორედ ამიტომ იყო პაპის ვიზიტი ასე სიმბოლური. თურქეთის ტერიტორიაზე გაიმართა პირველი რვა მსოფლიო კრება. ეს ქვეყანა არის ქრისტიანული ისტორიის უძველესი კერა - აქ იქადაგა წმიდა პავლემ, აქ პირველად ეწოდათ მორწმუნეებს ,,ქრისტიანები", აქ იცხოვრა წმიდა იოანე მახარებელმა. 28 ნოემბერს, წმიდა სულის საკათედრო ტაძარში შეხვედრის შემდეგ, პაპი ლეონი და მონაწილე იერარქები, მათ შორის, ჩვენი ეპისკოპოსი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, გაემგზავრნენ ნიკეაში (დღევანდელი იზნიკი), სადაც საზეიმო ეკუმენური ლოცვითი შეხვედრა გაიმართა. მონაწილეობა მიიღეს კონსტანტინოპოლის ეკუმენურმა პატრიარქმა ბართოლომეოსმა და სხვა ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებმა. ლოცვა შედგა წმ. ნეოფიტოსის უძველესი ბაზილიკის არქეოლოგიურ გათხრებზე - იმავე ადგილას, სადაც 325 წელს კრება გაიმართა და სადაც დადგინდა ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლო. წმიდა მამამ ხაზი გაუსვა სამ გამოწვევას, რომელსაც ნიკეა დღესაც თვალწინ გვიყენებს: 1. რწმენის არსის გააზრება. სიმბოლო არ არის უბრალოდ დოქტრინალური ფორმულა, არამედ მოწოდებაა, რომ ვეძებოთ ქრისტიანული რწმენის ერთიანობა ქრისტეში. 2. ქრისტეში უნდა ვიხილოთ ღვთის ნამდვილი სახე. პაპმა გაგვაფრთხილა, თავი ვარიდოთ ,,ახალ არიანიზმს" - როცა იესოში მხოლოდ დიდ მოძღვარს ან ისტორიულ ფიგურას აღიარებენ, მაგრამ არ ცნობენ მის ღვთაებრიობას. 3. რწმენის გადაცემა და განვითარება. დოქტრინა არ არის სტატიკური, არამედ ორგანულად ვითარდება, როგორც ცოცხალი რეალობა.

ხიდების შენება - 29 ნოემბერს პაპმა წმიდა წირვა აღავლინა Volkswagen Arena-ში, სადაც დაახლოებით ოთხი ათასი ადამიანი შეიკრიბა. ეს იყო ადვენტის პირველი კვირა და წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების წინადღე - ანდრია მიიჩნევა თურქეთის

მფარველად. ქადაგების მთავარი თემა იყო ერთიანობა და ხიდების შენება. პაპმა გაიხსენა სტამბულის სამი დიდი ხიდი, რომლებიც ბოსფორის სრუტეს გადაკვეთს და ევროპასა და აზიას აკავშირებს. ,,ეს სამი დიდი კომუნიკაციის, გაცვლისა და შეხვედრის სტრუქტურა თვალშისაცემია, თუმცა ასე პატარა და მყიფეა იმ უზარმაზარ ტერიტორიებთან შედარებით, რომლებსაც აკავშირებს", - თქვა წმიდა მამამ. ეს სამი ხიდი გახდა მეტაფორა იმ სამი ტიპის ერთიანობისათვის, რომელიც ეკლესიას უნდა ახასიათებდეს:

პირველი ხიდი - თვით ეკლესიის შიგნით. თურქეთში ოთხი სხვადასხვა ლიტურგიული ტრადიციაა: ლათინური, სომხური, ქალდეური და სირიული. ,,თითოეულს მოაქვს საკუთარი სულიერი, ისტორიული და საეკლესიო სიმდიდრე", - აღნიშნა პაპმა. ამ განსხვავებების გაზიარება აჩვენებს ეკლესიის ერთ-ერთ ულამაზეს თვისებას - კათოლიკობას, რომელიც აერთიანებს.

მეორე ხიდი - ეკუმენიზმი. პაპი თბილად მიესალმა სხვა ქრისტიანული აღმსარებლობების წარმომადგენლებს. ,,იგივე რწმენა ჩვენს მაცხოვარ იესოში გვაერთიანებს არა მხოლოდ ჩვენ, კათოლიკე ეკლესიაში მყოფთ, არამედ ყველა ჩვენს ძმასა და დას, რომლებიც სხვა ქრისტიანულ ეკლესიებს ეკუთვნიან". პაპმა გაიხსენა წმიდა იოანე XXIII, რომელსაც ღრმა კავშირი ჰქონდა ამ მიწასთან და ეკუმენური ერთიანობის დიდი მხარდამჭერი იყო.

მესამე ხიდი - სხვა რელიგიების მიმდევრებთან ურთიერთობა. ,,ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც რელიგია ხშირად გამოიყენება ომებისა და სისასტიკის გასამართლებლად", - თქვა პაპმა. მან შეგვახსენა ვატიკანის მეორე კრების სწავლება: ,,ადამიანის დამოკიდებულება მამა ღმერთისადმი და ადამიანის ურთიერთობა თავის თანამოქალაქეებთან იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ წერილი ამბობს: ,,ვისაც არ უყვარს, ის არც ღმერთს იცნობს".

პატარა თემი, დიდი მისია - ყველაზე დასამახსოვრებელი იყო პაპის სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ როგორც პატარა, მაგრამ ერთგულმა, მორწმუნე თემმა. მან მოგვიწოდა გული არ გავიტეხოთ იმის გამო, რომ რიცხვობრივად მცირენი ვართ, არამედ დავინახოთ მასში სახარებისეული მოწოდება. ,,ეკლესია თურქეთში პატარა თემია, მაგრამ ნაყოფიერი როგორც მარცვალი და სასუფევლის საფუარი", - თქვა წმიდა მამამ. მან მოუწოდა ყველას რწმენასა და ღმერთთან ერთობაში ფესვგადგმულებმა, მტკიცე იმედით იარონ სულიერად. განსაკუთრებით, აღნიშნა ახალგაზრდების მნიშვნელობა, რომლებიც კითხვებით მოდიან კათოლიკე ეკლესიაში. „განაგრძეთ ბეჯითი სამწყსო საქმიანობა, ყური დაუგდეთ ახალგაზრდებს, უმეგზურეთ მათ", - თქვა პაპმა. მან ასევე ხაზი გაუსვა სამ სფეროს, სადაც თურქეთის ეკლესიას განსაკუთრებული მისია აქვს: ეკუმენური და ინტერრელიგიური დიალოგი, რწმენის გადაცემა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ლტოლვილებისა და მიგრანტების სამწყსო მომსახურება.

რას ნიშნავს ეს ჩვენთვის - პაპის ეს სიტყვები ჩვენთვისაც, როგორც საქართველოს კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელთათვის, არაჩვეულებრივად აქტუალური იყო. ჩვენც პატარა საკრებულო ვართ დიდ მართლმადიდებლურ ქვეყანაში, და პაპის გზავნილი სიმცირის ძალის შესახებ ჩვენც შეგვეხო. ერთიანობის ხიდების შენება - ეს არის გამოწვევა, რომელიც კავკასიაშიც დგას. როგორც პაპმა თქვა, ეს ხიდები საჭიროებს მზრუნველობას, ყურადღებასა და მოვლას. ისინი არ შენდება ერთ დღეში, მაგრამ მათი შენარჩუნება მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს. წმიდა მამის ვიზიტი სტამბულში იყო შეხსენება იმისა, რომ ეკლესია იზომება არა რიცხვებით, არამედ რწმენის სიღრმით, სიყვარულის სივრცით და იმ იმედით, რომელსაც ღმერთი გვიბოძებს. ჩვენ, ყველანი, მოწოდებულნი ვართ ვიყოთ ხიდები დედამიწასა და ზეცას შორის, და ერთმანეთს შორის.

,,ჩვენ ვმოგზაურობთ როგორც ხიდზე, რომელიც უფალმა ჩვენთვის ააშენა, რომელიც დედამიწას სამოთხეს უკავშირებს", - თქვა პაპმა, - ყოველთვის შევინარჩუნოთ მზერა, მიმართული ორივე ნაპირისაკენ, რათა გვიყვარდეს ღმერთი და ჩვენი ძმები და დები მთელი გულით, რათა ერთად ვიმოგზაუროთ და ერთ დღეს გავერთიანდეთ მამის სახლში".

ეს იყო პირველი საერთაშორისო ვიზიტი პაპ ლეონ XIV-ისთვის, და მან, თავის წინამორბედთა მსგავსად, განსაკუთრებული ყურადღებით მოილოცა ქრისტიანული ისტორიის გული, ადგილი, სადაც ევროპა და აზია ხვდება ერთმანეთს, სადაც ძველი და ახალი აღთქმა იკვეთება, სადაც ხიდები გადებულია არა მხოლოდ კონტინენტებს შორის, არამედ გულებსა და სულებს შორის.

მამა აკაკი ჭელიძე MI

პაპის პირველი სამოციქულო მოგზაურობა

პაპმა ლეონ XIV-მ თავისი პირველი სამოციქულო მოგზაურობა განახორციელა თურქეთსა და ლიბანში, ნიკეის პირველი კრების 1700 წლისთავის აღსანიშნავად. ეს სიმბოლური დაბრუნებაა იმ ადგილას, სადაც 325 წელს შეიქმნა სარწმუნოების სიმბოლო, რომელსაც დღემდე მთელი ეკლესია აღიარებს. ვიზიტს ძლიერი ეკუმენური განზომილება აქვს - პაპი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მრწამსი შეიძლება გახდეს ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის - ერთიანი ეკლესიის „ორი ფილტვის“ - შერიგების ახალი ძიების საფუძველი.

თურქეთში ლეონ XIV-მ მოინახულა იზნიქი (ძველი ნიკეა), სადაც უძველესი ბაზილიკის წყალქვეშა ნანგრევებია, ადგილი, რომელიც კრების სხდომათა ჩატარების ადგილად მიიჩნევა. იგი, ასევე, ეწვია ანკარასა და სტამბულს, ქალაქს ორი კონტინენტისა და ორი სამყაროს გზაგასაყარზე, სადაც, ქრისტიანობის მდიდარი ისტორიის მიუხედავად, ქრისტიანული რწმენა დღეს სოციალური დაძაბულობის წინაშე დგას. პაპი, შესაძლოა, შეეხოს დევნის მტკივნეულ თემასა და სომხების, ბერძნებისა და ასურელების წინანდელი გენოციდის საკითხს.

ლიბანში, რომელიც ღრმა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, პაპი შეხვდა სახელმწიფო ხელისუფლებას, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებსა და ახალგაზრდობას, აგრეთვე, ილოცა წმიდა შარბელის საფლავთან. მიუხედავად იმისა, რომ ლიბანი ოდესღაც ქრისტიანების, სუნიტებისა და შიიტების თანაცხოვრების ნიმუშად მოიაზრებოდა, დღეს ქვეყანა ებრძვის ქრისტიანთა მასობრივ გადასახლებას, კონფესიურ დაყოფას, ლტოლვილთა კრიზისსა და გეოპოლიტიკურ დაძაბულობას. პაპის ვიზიტის მიზანია ყურადღების გამახვილება იმედის განმტკიცებასა და ეროვნული ერთიანობის აღდგენის აუცილებლობაზე.

მთელი ეს მომლოცველობა განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქრისტიანთა გაერთიანებისაკენ და მხარდაჭერის გამოხატვა იმ თემთა მიმართ, რომლებიც რთულ, ხშირად არამყარ, რელიგიურ და პოლიტიკურ გარემოში ცხოვრობენ.

მამა პავლე-პეტრე დილი MI

გზა - მიმავალი სიცოცხლისაკენ

ამ მადლიერებით აღვსილ წერილს ვუძღვნი საქართველოში ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის მოძღვარს, ქორეპისკოპოს ბენიამინ ბეტიადგარს, ნიშნად ჩემი ღრმა სიყვარულისა და მადლიერებისა, მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღთან, მისი საქართველოში ყოფნასთან და ასირიულ-ქალდეური კათოლიკური მისიის დაარსების ოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით. მადლობას ვუხდი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ გაწეული მრავალწლიანი თავდადებული შრომისათვის; ასირიულ-ქალდეური ეკლესიისა და კულტურის ცენტრის მშენებლობისათვის თბილისში - ეს ჩვენი ახალი სახლია, სადაც ვპოულობთ შვებას; სადაც ჩვენი ცხოვრების ყველა კულტურული და რელიგიური ღონისძიება იმართება, სადაც ყველანი ვლოცულობთ მშობლიურ ენაზე, ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს, ენაზე. მადლობას ვუხდი გარდაბანში, ასირიელთა კომპაქტურად დასახლების ადგილას, აშენებული მეორე ეკლესიისათვის; იმ ზრუნვისთვის, რომელიც მათზე გაწია, როდესაც ააშენა პირველადი ჯანდაცვის ცენტრი „შამრაია ტავა“ (კეთილი სამარიელი); ყველაფრისთვის, ჩვენი ცხოვრების, საქართველოში მცხოვრებ ასირიელთა ყოფის, ფუნდამენტური ტრანსფორმაციისათვის.

1995 წელი, ქორეპისკოპოს ბენიამინის საქართველოში ჩამოსვლის წელი, ის თარიღია, რომელიც ათვლის წერტილად იქცა ჩვენი დაკარგული, მსოფლიოს მიერ მივიწყებული ხალხის თანამედროვე ისტორიაში. ასირიელებმა, ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს ქრისტიანობა და საკუთარი სიცოცხლის ფასად გაავრცელეს იგი ინდოეთსა და ჩინეთში. თვით ქორეპისკოპოსი ბენიამინი ირანში დაიბადა, მოგვიანებით ოჯახი ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. თავად 12 წლის განმავლობაში სწავლობდა იტალიის დედაქალაქ რომში, სადაც თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიიღო; იგი აგრეთვე აღმოსავლური ენების უბადლო მცოდნე გახლავთ. და აი, ასრულებს განათლების მიღებას რომში ერთადერთი მიზნით - იყოს სასარგებლო თავისი ხალხისათვის, იყოს მის სამსახურში. მღვდლად კურთხევიდან (1994 წლის 14 სექტემბერი) ერთი წლის შემდეგ, 1995 წლის 3 მაისს, იგი ჩამოდის საქართველოში, რომელიც იმ დროს რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა. საბჭოთა ეპოქაში ასირიელები სრულიად უუფლებონი იყვნენ; აღმსარებლობა ტაბუდადებული, მშობლიური ენის შესწავლა აკრძალული, ეროვნული განვითარების არავითარი შესაძლებლობა. ასირიელებმა ასევე გამოიარეს სტალინის რეპრესიები, ხალხის მტრებად შერაცხულნი, 1948-50 წლებში გადასახლებული იყვნენ ციმბირსა და ყაზახეთის უდაბურ სტეპებში, რაც გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა. ეს ერისთვის გადაშენების ტოლფასი იყო.

ასე რომ, მამა ბენიამინი მისთვის უცნობ, გაღატაკებულ ქვეყანაში ჩამოდის. საბჭოთა ხელისუფლების დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შიმშილი, სიცივე და სიღარიბე მეფობს. საქართველოც არ გახლდათ გამონაკლისი: არც შუქი, არც გაზი, პურის უზარმაზარ რიგებში მდგომი გათანგული ხალხი. ეს დიდი განსაცდელის ჟამი იყო, რომელიც უნდა გადაელახა როგორც ქვეყანას, ასევე, თავის მხრივ, მამა ბენიამინს. საჭირო იყო მასშტაბური ცვლილებები, რომელთა განხორციელებაც ჩვენთვის მხოლოდ ქორეპისკოპსმა ბენიამინმა შეძლო. საქართველოში, თბილისში ჩამოსვლისთანავე, მან თავისი პირველი ევქარისტიული წირვა წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში არამეულ ენაზე აღავლინა. ქადაგების მშობლიურ ენაზე მოსმენა ყველა ჩვენგანისთვის იყო დიდი საოცრება, სასწაული ქვეყანაში

სამოცდაათი წლის ათეიზმის შემდგომ. ტაძარში ჩუმი ტირილის ხმა ისმოდა, ხალხი ცრემლებს ვერ იკავებდა. ვინ დართავდა ნებას ასირიელებს, საკუთარი მღვდელი ჰყოლოდათ?! მაგრამ ეს მოხდა. ეს იყო პირველი ნაბიჯი ლიტურგიკული და მისიონერული მსახურებისა - ეს იყო სინათლე გვირაბის ბოლოს...

ქორეპისკოპოსი ბენიამინი იწყებს თავის მოღვაწეობას. ის ხვდება ხალხს, აქტიურად ეწევა სასულიერო და საქველმოქმედო საქმიანობას, ურიგებს პურს, მედიკამენტებს და უწევს მატერიალურ დახმარებას მოწყვლად მოსახლეობას. ასირიული კონგრესის პრეზიდენტის, კათოლიკე მორწმუნე ბ-ნ იოსებ ივანოვის სახლში ის ერთდროულად რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფთან ატარებს გაკვეთილებს მშობლიური ენისა და დამწერლობის შესასწავლად, ამავდროულად, აწყობს ბიბლიურ შეხვედრებს და განუმარტავს მრევლს წმიდა წერილს; ქმნის ახალგაზრდულ გუნდს, იწყება ეროვნული მოტივების აღორძინება. საქართველოში ასირიულ-ქალდეური კათოლიკური მისიის თავდაპირველი ამოცანა იყო ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, სწავლების განმარტება და გავრცელება, მაგრამ, რთული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისიამ მიიღო გადაწყვეტილება, სულიერ საქმიანობასთან ერთად, განეხორციელებინა ჰუმანიტარული და საგანმანათლებლო პროექტები. აქ დღესაც მიმდინარეობს მუშაობა საკრებულოს განვითარებისა და ინტეგრაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამ სამი მიმართულებით.

ქორეპისკოპოს ბენიამინს ამჟამად მორწმუნეთა დიდი მრევლი ჰყავს. იმართება ყველა კულტურული და რელიგიური ღონისძიება. იგი ახალგაზრდების მეგობრული ჯგუფით არის გარშემორტყმული; ყმაწვილები წირვის დროს მსახურებენ; ისინი, მოხალისეობრივ საქმიანობასაც ეწევიან, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკლესიისათვის. მამა ბენიამინი 2009 წელს დამსახურებულად აყვანილ იქნა ქორეპისკოპოსის ხარისხში. ქორეპისკოპოს ბენიამინის გზა ოცდაათი წელია გრძელდება, ეს არის გზა ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება, ცოდნა და ნიჭი თავის ხალხს მიუძღვნა. მისი გზა ჩვენთვის მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია მხოლოდ ერთი ადამიანის რწმენას, სიბრძნესა და სიყვარულს სასწაულების მოხდენა; როგორ შეძლო მხოლოდ ერთმა კათოლიკე მღვდელმა, რომელიც თავის ხალხზე უზომო ზრუნვით იყო შეპყრობილი, ძირფესვიანად შეეცვალა ამ ხალხის, საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები ასირიელების, ბედი. მამა ბენიამინის საქართველოში, თბილისში, ჩამოსვლის დღე ჩვენი ერისა და კულტურის აღორძინების დღედ იქცა. მისი სახელი შთამომავლების მიერ ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ხალხის მეხსიერების ისტორიაში.

მარგარიტა იუხანოვა

,,რწმენისა და საეკლესიო წყობის“ მეექვსე მსოფლიო კონფერენცია

24 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით, კოპტურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეგვიპტეში, ვადი ელ ნატრუნის უდაბნოში, უმასპინძლა ,,რწმენისა და საეკლესიო წყობის“ (Faith and Order) მეექვსე მსოფლიო კონფერენციას, რომელმაც ნიკეის კრების 1700 წლის აღნიშვნა იტვირთა. კონფერენციის თემა დაახლოებით ასე ითარგმნება: „და ახლა საით ხილული ერთობის ძიებაში“?

,,რწმენისა და საეკლესიო წყობის“ პირველი მსოფლიო კონფერენცია 1927 წელს გაიმართა შვეიცარიაში, ქ. ლოზანაში, მეხუთე 1993 წელს ესპანეთში, სანტიაგო დე კომპოსტელაში. ვინც ფეხდაფეხ არ მისდევს ქრისტიანთა ერთობის მოძრაობას, რთული გასაგებია, თუ რას ნიშნავს ,,და ახლა საით ხილული ერთობის ძიებაში“?

ქრისტიანთა ერთობა ესწრაფვის აღასრულოს იესო ქრისტეს ლოცვა „რათა ყველა ერთი იყოს“ (იოანე 17:21). ცხადია, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ქრისტიანები იესოს ამ სიტყვებში არ იგულისხმებდნენ უკვე არსებული, მრავალსაუკუნოვანი ეკლესიების ინსტიტუციურ ერთობას ან სხვადასხვა ქრისტიანული ტრადიციის შერწყმას. მათ მიზნად დაისახეს, სხვადასხვა ტრადიციის ქრისტიანთა შორის დიალოგის გზით გაერკვიათ, რა აერთიანებდათ და რა განასხვავებდათ. ასი წლის განმავლობაში ბევრი ცოდნა დაგროვდა თეოლოგიური და პრაქტიკული საკითხების თაობაზე: რას აღიარებენ ეკლესიები როგორც ყველასთვის მისაღებს და სად ხედავენ გამოწვევას თუ უთანხმოებას.

,,რწმენა და საეკლესიო წყობა“, როგორც მრავალმხრივი ფორუმი, ღიაა ყველა ქრისტიანისთვის. დღიდან ეკლესიათა საბჭოს დაარსებისა (ემს), 1948 წელს, ,,რწმენა და საეკლესიო წყობა“ მისი ერთი მთავარი ღერძი ხდება. შესაბამისად, ემს-ში დაარსდა განყოფილება, რომელიც კომისიის მუშაობას უძღვება, რაც ეკუმენური თეოლოგიის მთავარ პლატფორმად იქცა. კომისიის წევრებს თავად ეკლესიები ასახელებენ. რომის კათოლიკე ეკლესია ,,რწმენა და საეკლესიო წყობის“ მუშაობას 1968 წლიდან შეუერთდა მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი არ იყო და დღემდე არ არის. რამდენადაც წინააღმდეგობრივად არ უნდა ჟღერდეს, მართლმადიდებლები ეკუმენურ მოძრაობაში, განსაკუთრებით კი ქრისტიანული თეოლოგიის დიალოგში, სულ თავიდან არიან ჩართულები. მაგალითად, ლოზანის კონფერენციაში, სხვა მართლმადიდებელ დელეგატებთან ერთად, მონაწილეობდნენ ემიგრაციაში მყოფი ცნობილი თეოლოგები, მათ შორის სერგი ბულგაკოვი და გრიგოლ ფერაძე.

მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის, რომლებიც ,,რწმენისა და საეკლესიო წყობის“ კომისიის წევრების ანუ ეკლესიების მიერ დასახელებული თეოლოგების ჩართულობით განხორციელდა, განსა-

კუთრებული ყურადღება მოიპოვა ,,ნათლობა, ევქარისტია, მსახურებამ“ (1982). ამის შემდეგ გაჩნდა სურვილი, თეოლოგიური ძიებით მრავალმხრივი ქრისტიანული დიალოგის ფარგლებში, შექმნილიყო საერთო ტექსტი ეკლესიაზე, მის ბუნებასა და მისიაზე. ორი ადრინდელი ვერსიის შემდეგ, 2013 წელს, დასრულებული სახით, გამოიცა ,,ეკლესია: საერთო შეთანხმებისკენ“. ამ ტექსტის ქართულ თარგმანს, იმედია, მალე იხილავს დაინტერესებული მკითხველი.

მეექვსე მსოფლიო კონფერენცია გაიხსნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის, დოქ. ჯერი პილესა და კოპტური ეკლესიის პაპ ტავარდოს II-ის მისალმებებით. კონფერენციაზე სამი მთავარი მიმართულება - რწმენა, მისია და ერთობა - ორ-ორი პანელით იყო წარმოდგენილი. სამივე თემა ქრისტიანთა ერთობისთვის მოძრაობის ღერძებად მოიაზრება. სამივე მიმართულების მიზანი იყო გაეშალა კონფერენციის თემა - „და ახლა საით ხილული ერთობის ძიებაში“? რწმენის მიმართულების პირველ პლენარულ სხდომაზე, სათაურით ,,სამსახოვანი ღმერთი და ეკლესიის იდენტობა“, აუდიტორიას მიმართეს კარდინალმა კურტ კოხმა, შვედეთის ლუთერული ეკლესიის მთავარეპისკოსმა (ემერიტუსი) ანტე ჯაკელენმა და კოპტური ეკლესიის ეპისკოპოსმა კირილემ. ეს გამოსვლები მოიძიება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ვებგვერდზე.

მომდევნო პლენარულ სხდომაზე სათაურით ,,სამოციქულო რწმენა - ნიკეის სიმბოლოს კონტექსტუალური განხორციელება“ - ხუთი თეოლოგი ვმონაწილეობდით. პლენარული სხდომის მოდერატორმა, არგენტინელმა მერსედეს გარსია ბახმანმა წარადგინა მონაწილეები: თამარ გრძელიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მალაიზიელი თეოლოგი ტატ იან ლიი, ზამბიელი მუტალე მოლენგა აუნდა, ხორვატიელი წარმოშობის ამერიკელი მირონლავ ვოლფი და კანადელი სანდრა ბერძალი. საინტერესოა, რომ ჩემი და სანდრა ბერძალის (კანადის გაერთიანებული ეკლესია) გარდა სამი მომხსენებელი ორმოცდაათიანელებს, ყველაზე სწრაფად მზარდ ტრადიციას წარმოდგენენ.

იმავე პრინციპითა და საინტერესო გამოსვლებით წარიმართა მისიისა და ერთობის პლენარული სხდომები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კენიელი მღვდლის, თეოლოგიის დოქტორის ევანგელოს ფიანის გამოსვლამ, რომელიც ალექსანდრიის მართლმადიდებელ ეკლესიას მიეკუთვნება. მოხსენება, პოლიტიკური თეოლოგიის ფარგლებში, განიხილავდა აფრიკის კონტინენტზე ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს, ალექსანდრიის საპატრიარქოს სამღვდელოების გადაბირებას მოსკოვის საპატრიარქოს მიერ. აღნიშული ფაქტი კარგადაა ცნობილი მართლმადიდებელთა შორის, მაგრამ დღეს არსებული სტატისტიკა შემაძრწუნებელია.

მოგვიანებით, მართლმადიდებელთა ორ ოჯახთან შეხვედრისას, პაპ ტავარდოს II-მ აღნიშნა, რომ სიამოვნებით შეუწყობდა ხელს მართლმადიდებელთა ორი ოჯახის გაერთიანებას და სამაგალითოდ მიუთითა კოპტური ეკლესიის ,,იდეალურ“ ურთიერთობაზე მოსკოვის საპატრიარქოსთან. სწორედ ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ალექსანდრიის მართლმადიდებელი პატრიარქი კონფერენციას არც თავად ესწრებოდა და არც საპატრიარქოს ოფიციალური წარმომადგენელი გამოეგზავნა. დღევანდელ დღეს ,,იდეალური“ ურთიერთობა მოსკოვის საპატრიარქოსთან რას უნდა ნიშნავდეს, ძნელი წარმოსადგენია.

სოციალური სამართლიანობის სფეროშიც მოვისმინეთ შთამბეჭდავი მოხსენებები, მაგალითად, ანგლიკანი მღვდლის, დოქტორ კარლტონ ტერნერისა კარიბიის ზღვის პროვინციიდან. შთამბეჭდავი იყო როგორც თავისი შინაარსით, ასევე გამბედაობით ავსტრალიელი თეოლოგიის დოქტორის, პროფესორ ჯაკლინ გრეის მოხსენება. როგორც ორმოცდაათიანელთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი, პროფ. გრეი მიესალმება ძველი ტრადიციის ქრისტინებისგან მათი გამოცდილების გაზიარებას, კერძოდ, ისტორიულად როგორ განახორციელა ეკლესიამ ნიკეის თეოლოგია ცხოვრებაში; ხოლო ახალგაზრდა ეკლესიების მხრივ, შესთავაზა იმ მუხტის გაზიარება, რომელიც განაპირობებს მათ მიმართ ფართო ინტერესს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

პლენარულ სხდომებზე მართლმადიდებელ გამომსვლელებს შორის იყო, ასევე, პისიდიის მიტროპოლიტი იობ გეტჩა, რამდენიმე საერთაშორისო დიალოგის თანაპრეზიდენტი და კონსტანტინოპოლის მუდმივი წარმომადგენელი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, პროფ. ათანასე დესპოტისი მსოფლიო საპატრიარქოდან. კათოლიკეების მხრივ, სხვადასხვა პანელზე მომხსენებლები იყვნენ პროფესორები, ამერიკელი სუზან ვუდი, გემანელი მირიამ ვილანსი და ბრაიან ლობო ინდოეთიდან.

ერთი რამ, რაც ყველასთვის მართლაც ერთნაირად სასიამოვნოა ეკუმენურ შეხვედრებზე, მასპინძლების მიერ ორგანიზებული ადგილობრივი ეკლესიების მონახულებაა. ამ მხრივ, ჩვენც ძალიან

გაგვიმართლა, ვესტუმრეთ წმ. მაკარისა და წმ. ბარამუსის მონასტრებს, სადაც ინგლისურ ენაზე შესანიშნავად მოლაპარაკე და თეოლოგიურად განსწავლულმა ბერებმა გვამოგზაურეს სამონასტრო ცხოვრების უძველეს დროსა და დღევანდელობაში.

როგორც ეს ეკუმენურ შეხვედრებზე ხდება ხოლმე, კონფერენციის ბოლოს მონაწილეებმა დაადასტურეს მოკლე მიმართვა/გზავნილი და ვრცელი დამოწმება, რომლებიც მთელ საქრისტიანოს, მთელ ეკუმენეს მიემართება. მოკლე მიმართვა ასე მთავრდება: „და ახლა საით ხილული ერთობის ძიებაში? ამ გზაზე შემდგარნი ერთმანეთს მოვუწოდებთ, განვაახლოთ ერთგულება რწმენის, ეკლესიის მისიისა და ერთობის მიმართ იესო ქრისტეში; ერთად დავუგდოთ ყური სულიწმიდას; ერთად გავუყვეთ მომლოცველობის გზას: როგორც ერთი მამის შვილებმა, ჩვენ რწმენას, იმედსა და სიყვარულს სამართლიანი, შემრიგებლური, ერთობლივი ცხოვრებით შევასხათ ხორცი. ვიცხოვროთ იმ ერთობისთვის, რომელიც ქრისტემ ლოცვაში ითხოვა, რომ მთელმა სამყარომ იწამოს და გამოსცადოს განკურნების, სამართლიანობისა და შერიგების ღვთისგან ბოძებული ძღვენი“.

კონფერენციის ამ მოკლე მიმოხილვას თან ვურთავ ვადი ელ ნატრუნში ჩემი გამოსვლის მეორე ნაწილს, რადგან შესავალ ნაწილში პირად გამოცდილებაზე ვისაუბრე, რაც აქ უადგილოდ მეჩვენება. შეგახსენებთ, რომ პანელის თემა იყო ხილული ერთობისკენ მიმართული ქრისტიანული რწმენა ნიკეის 1700 წლის აღნიშვნის შუქში.

„...რა შემიძლია ვუთხრა ახალგაზრდებს საქართველოში, თუ სხვაგან, ხილული ერთობის თაობაზე სამომავლოდ? ვფიქრობ, ჩვენი გამოცდილება გვკარნახობს, რომ სრული დოქტრინალური ერთობის დაჟინებული მოთხოვნა შეუსაბამო გამოწვევაა. წლების განმავლობაში ერთმანეთისგან სწავლით, რეცეპციისა და გაზიარების გზით, ,,რწმენა და საეკლესიო წყობამ“ გაამდიდრა ეკუმენური მოძრაობა მსჯელობით ქრისტიანული იდენტობის განმსაზღვრელ თეოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც ქრისტიანთა დღევანდელ ცხოვრებაში აქტუალურია. დაარსებიდან ძალიან მალე, ,,რწმენა და საეკლესიო წყობამ“ აღიარა, რომ მხოლოდ დოგმატურ საკითხებზე კონცენტრაცია, ცოცხალი კავშირის გარეშე გარე სამყაროსთან, რომელშიც ძე ღვთისა განკაცდა, უშედეგო იქნებოდა. დღეს მხოლოდ დოგმატურ საკითხებზე მზერის მიპყრობა დაახლოებით იმის ანალოგიურია, დიდი და ძლიერი სახელმწიფოები უფრო პატარა ქვეყნებს ტერიტორიებს რომ ართმევენ მაშინ, როდესაც ყველას ძალისხმევა მიმართული იყოს პლანეტის, დედამიწის გადარჩენისკენ, მომავალი თაობებისთვის სიცოცხლის შენარჩუნებისკენ. დღესდღეობით ჩვენს ხელთაა ეკუმენური თეოლოგიის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა, იქნება ეს შედარებითი თუ კონვერგენციული მეთოდოლოგიით შექმნილი დოკუმენტები. ეკუმენური თეოლოგიის ისტორია დაიწყო თეოლოგიების მოკრძალებული შედარებით, შეზღუდული გეოგრაფიული გარემოს პირობებში იმ მიზნით, რომ საზიარო თეოლოგიური საფუძვლები გამოევლინათ. იმ რწმენით, რომ ,,სულიწმიდა ქრისტიანობის ისტორიაში ახალ ეტაპს ამზადებდა“ (A. C. Zabriskie, Bishop Brent: Crusader for Christian Unity, Philadelphia, Westminster Press, 1948, 149), თავდაპირველ მოცემულობას თანდათან ხორცი შეასხა თეოლოგიურმა კვლევებმა მადლის, ტრადიციისა და ტრადიციების, ღვთისმსახურების, koinonia-ს მიმართულებით. დოქტრინალური პროცესების დინამიური ბუნება ქრისტიანულ ეკლესიაში გვიბიძგებს, რომ მუდმივად ვიფიქროთ ამ პროცესებზე, მათ გავლენაზე სამყაროსა თუ ჩვენ ცხოვრებაზე და დავრჩეთ წმინდა სამების ერთგულნი.

მგონი, ახლა საუკეთესო იქნება ყურადღების შეჩერება ,,რწმენისა და საეკლესიო წყობის“ ბოლოდროინდელ დოკუმენტზე - ,,ეკლესია: საერთო ხედვისათვის“, კარგად გააზრება იმისა, თუ რას ნიშნავს ჩვენი რწმენისთვის მასში აღწერილი თეოლოგიური თანხვედრა და შეუთანხმებლობა. ასი წლის განმავლობაში ,,რწმენა და საეკლესიო წყობამ“ გვასწავლა თეოლოგიური თანამშრომლობა, სხვასთან შეხვედრის კულტურა, მოსმენისა და გათავისების ნიჭი. უკვე 1952 წელს ჩამოყალიბდა ,,ლუნდის პირნციპი“, რომლის მიხედვით „უნდა ვიმოქმედოთ ერთობლივად ყველა სფეროში, გარდა იმისა, რაშიც ჩვენი განსხვავებული ხედვები ცალ-ცალკე მოქმედებისკენ გვიბიძგებს“ და „გაყოფის მიღმაც ვეძიოთ

ქრისტეს ეკლესიასთან ღმერთისგან დადგენილი კავშირის უფრო ღრმა და მრავლისმთქმელი გააზრება“ (O. S. Tomkins (ed.), The Third World Conference on Faith and Order Held at Lund August 15th to 28th, 1952 (London: SCM, 1953), 16, 15).

ცოდნითა და გამოცდილებით მიღებული თეოლოგიური განსწავლულობა ის საფუძველია, რის მიხედვითაც ეკლესია - მრევლი, მორწმუნე ადამიანები - ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, რეალურ ცხოვრებაში მოქმედებს: ღარიბს, გარიყულს, საფრთხეში მყოფთ ფიზიკურად ვეხებით იმის განცდით, რომ ჩვენი რწმენა საზიაროა, რომ ჩვენ ვართ ეკლესია. გლობალიზაციამ გამოააშკარავა ადამიანების შეზღუდული ხედვა, სიხარბე, ეგოცენტრიზმი, რომ არ ვართ მზად დიდი ოცნებებისთვის, ერთმანეთის იმედით გასამხნევებლად. ქრისტიანული ერთობის ძიებამ ფართო აზროვნებისა და დიდი ოცნებების გზაზე უნდა დაგვაყენოს: ჩვენი პლანეტის დასაცავად, თვითდისციპლინის გამოსამუშავებლად, რომ მუდმივად მეტის მოპოვებას არ ვესწრაფვოდეთ და მოყვასზე ვზრუნავდეთ.

ვიდრე ქრისტიანულ ტრადიციებთან მიმართებით განსხვავებულობის ჰერმენევტიკაზე ვიტყვი, ჩემს მართლმადიდებელ ძმებსა და დებს რიტორიკული შეკითხვით მივმართავ: აქვს თუ არა გავლენა ქრისტიანულ ერთობაზე, ეკლესიათა ერთ კონკრეტულ ოჯახში, პოლიტიკური ნიშნით გამოწვეულ ეკლესიოლოგიურ უთანხმოებას? და თუ ეს ასეა, შეუძლია თუ არა შიდა კონფლიქტით გატანჯულ ეკლესიას ერთობისკენ უძღვებოდეს საკუთარ სამწყსოს? მართლმადიდებელი ეკლესიოლოგიისთვის ძნელია დღევანდელი სამყაროს მიმართ გახსნილობა; მართლმადიდებელი ეკლესიოლოგია ძნელად ეგუება იმ ფაქტს, რომ ერი-სახელმწიფოები სეკულარულია...

ჩემი ქვეყნის სუვერენიტეტი 2008 წლის შემდეგ ხელყოფილია, ხოლო მართლმადიდებელ ეკლესიათა ოჯახი სერიოზულ კრიზისშია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2022 წლის თებერვალში რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ...მშვიდობა მორალურად ნეიტრალური ვერ იქნება, რადგან პირდაპირ ირეკლავს სამართალსა და უსამართლობას. სამწუხაროდ, ჩვენ ეკლესიებში, ხშირად, ეს განსხვავება გაბუნდოვანებულია. ჩვენ ერთობა გვწადია განსხვავებული ტრადიციის, მაგრამ საზიარო რწმენისა და შეხედულებების ქრისტიანებთან, ვინც ტკივილსა და გასაჭირს თვალს არ არიდებს და მოყვასის მიმართ ემპათიას ავლენს, ვინც ჭეშმარიტებას ქრისტეში ეძიებს. ეს არის გზა ხილული ერთობისკენ...

განსხვავებულობის კონსტრუქციულ ინტერპრეტაციას, როგორც საერთო ამოცანას, მოსდევს ერთმანეთის რწმენის უფრო ღრმა გაგება. სხვა სიტყვებით, განსხვავების მრავლისმეტყველი ინტერპრეტაცია სხვის რწმენასთან გვაახლოებს. ამ მხრივ, დიდი მნიშნელობა აქვს ადგილობრივად გაწეულ მუშაობას. სწორედ ადგილობრივი ეკლესიების ინტერესებშია, რომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქრისტიანული თემის დაახლოებას, იმგვარი ქსელის შექმნას, სადაც დიალოგიც და სხვებზე ზრუნვაც საკუთარი რწმენის დადასტურებაა. უნდა თქვას, რომ საამისოდ ყველგან ერთნაირი პირობები არ არის. ადგილობრივი ინტერ-კონფესიური თემები ამ მიმართულებით საჭიროებენ დახმარებას, თუმცა მათი გამოცდილება სამომავლოდ გაამდიდრებს ხილული ერთობის ძიებას. ,,რწმენა და საეკლესიო წყობას“ დასაბამი მიეცა, როგორც საერთო ქრისტიანულ მოძრაობას, და ეს მუხტი არ უნდა დაიკარგოს.

ჩვენ ვსაუბრობთ ეკლესიაზე და ეკლესიებზე, მაგრამ ქრისტეს ეკლესია ერთია და ყველა მონათლული მორწმუნე ქრისტიანია. ,,რწმენა და საეკლესიო წყობა“ უნდა ესწრაფვოდეს ერთობისკენ მოწოდებულ ქრისტიანთა ემპირიული გამოცდილების გაცნობიერებას/შემეცნებას. ხილული ერთობა გამოვლინდება იქ, სადაც ჩვენი რწმენის დამაჯერებლობა გამოანათებს.

თამარ გრძელიძე

კაპუცინი ძმა ნესტორი

5 ნოემბერს, ძმა ნესტორ საულ ვერ გონსალესი შეუერთდა ძმა მარეკ პრჟეჩევსკის კაპუცინთა მონასტერსა და სავარდის ღვთისმშობლის სამრევლოში, ახალციხეში. 38 წლის ძმა ნესტორი წარმოშობით მექსიკიდანაა და შვიდი წელია მღვდლად მსახურებს. საქართველოში ჩამოსვლამდე, ის მსახურებდა სამრევლო მღვდლად, მისიონერად ეკვადორში და ლათინური ამერიკის კაპუცინთა კონფერენციის მდივნად კოლუმბიაში. იგი მთელი ცხოვრება ოცნებობდა გამხდარიყო მისიონერი და წასულიყო იქ, „სადაც არავის სურს წასვლა“ (როგორც ჩვენი გენერალური მინისტრი, მაურო იორი ამბობდა ხოლმე). დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ არავის სურს საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ ენობრივი ბარიერი და მექსიკიდან შორს ყოფნა ძმა ნესტორისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის დაუფასებლობაც არ შეიძლება. ბოლო წლებში ძმა ნესტორი, თავისი საკრებულოს თანამოძმეებთან ერთად, მსახურებდა კაპუცინ კლარელ დათა მონასტერში, მექსიკაში, სადაც, როგორც კაპუცინები, ამ დების 70-ზე მეტ მონასტერს ვემსახურებით.

ძმა ნესტორს ფილოსოფიის ხარისხი აქვს და განლაგებისა და კომპიუტერული გრაფიკის ექსპერტია. 2012 წელს მან გაიმარჯვა კაპუცინი ბერების საერთო განყოფილების ლოგოტიპის დიზაინის შესაქმნელად გამართულ კონკურსში. თუმცა, ახლა იგი ისევ ბავშვობის ასაკს დაუბრუნდა, ანუ მან უნდა ისწავლოს საუბარი და თვითგამოხატვა მისთვის უცნობ ენაზე. ჯერჯერობით ჩვენს საკრებულოში ვსაუბრობთ და ვლოცულობთ ესპანურად, მაგრამ დილის ქებანისა და მწუხრის ლოცვაზე „მამაო ჩვენოს“ უკვე ქართულად წარმოვთქვამთ. ძმა ნესტორმა ქართული ენის შესწავლა დაიწყო და, როგორც თავად ამბობს, ნელ-ნელა წინ მივიწევთ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იმედის წელია, არამედ ყოველთვის გვაქვს იმედი, რომ რაც ადამიანისათვის შეუძლებელია, ღმერთისთვის შესაძლებელია.

ძმა მარეკ პრჟეჩევსკი



წიგნი გამოსვლისა: განთავისუფლების გზის სამი ეტაპი

მამა პიერ დიუმულენი

გამოსვლის წიგნი, ბიბლიის (და შესაბამისად, თორას - ხუთწიგნეულის) მეორე წიგნია. გამოსვლა - ღერძია, რომლის გარშემოც თავმოყრილია ისრაელის ისტორია და რელიგია. ეს ძირითადი მოვლენაა, რომელსაც ეფუძნება ერის ერთობა და ერთი ღმერთის რწმენა, ღმერთის, რომელიც მათ ეცხადებათ და ევლინებათ ისტორიაში. აღწერილი მოვლენები წარმოგვიდგენენ ძველი და ახალი აღთქმის მორწმუნე ადამიანის ცხოვრების სტრუქტურას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, იესოს ცხოვრების წინასახე და ღმრთის მხსნელი მოქმედების სახეა. დაბადება, სიკვდილი და აღდგომა - ძველი და ახალი აღთქმის ძირეული მნიშვნელობის მატარებელი სამი აუცილებელი ეტაპია. რწმენა არის ცხოვრებისა და სიცოცხლის ლიტურგია, სიცოცხლის, რომელიც მსხვერპლადაა გაღებული.

წიგნში ასახული სამი ეტაპი: განთავისუფლება, აღთქმა, თაყვანისცემა

გამოსვლის წიგნში ჩვენ ვეხებით სამ მნიშვნელოვან თემას: განთავისუფლება, კავშირი-აღთქმა, კულტი (თაყვანისცემა). წიგნის ცენტრალური თემა - ღმერთსა და მის ხალხს შორის დადებული აღთქმაა (თავები 19 და 24), რომელიც რჯულის ბოძების მთავარი ეპიზოდისთვის (თავები 20 - 23) თავისებურ „ჩარჩოს“ წარმოადგენს. აღთქმის კოდექსამდე მოთხრობილი წმიდა ხალხის განთავისუფლების ამბავი იწყება ღმრთის მიერ მოსესადმი მიცემული აღთქმით (თავი 3). აქაც სამ ეტაპს ვხედავთ: განთავისუფლების გაცხადება, გადადება (ფარაონის სიჯიუტე და ეგვიპტის ათი სასჯელი) და განხორციელება (მეწამული ზღვის დიდებული გადაკვეთით (თავი 14) და შემდგომი სასწაულებით). სინას მთაზე დადებული აღთქმის შემდეგ მოდის თაყვანისცემის დრო. აქაც იგივე სქემაა, რაც განთავისუფლების შესახებ თხრობაში: მოსესადმი მიცემული დაპირება, ადამიანის ქმედებებით გამოწვეული შეფერხება და ბოლოს - აღსრულება. აღთქმულ თაყვანისცემასა და დადგენილი კულტის აღსრულებას აფერხებს ოქროს ხბოს შექმნა და თაყვანისცემა (თავი 32), რაც ყველანაირი კერპთაყვანისმცემლობის არქეტიპს წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, თავისი განდგომილი ხალხისთვის ღმრთის წინაშე შუამდგომლობის შემდეგ, მოსე ახერხებს ღმრთის მიერ მოთხოვნილი წმიდა იარაღების დამზადებას და თაყვანისცემის მსახურების, დღესასწაულებისა და მსხვერპლშეწირვის შესახებ კანონების დადგენას (თავები 35-40). წიგნი მთავრდება საწმიდრის, „საკრებულო კარვის“ კურთხევით, რომელშიც აღთქმის კიდობანი ინახება.



საკვანძო ტექსტები

გამოსვლის წიგნის ამ დიდებულ თეოლოგიურ მოგზაურობაში რამდენიმე თავი გამოირჩევა:

თავი მე-3: დაუწველი მაყვლოვანი, როგორც ღმრთის გამოცხდების ადგილი, მოწოდების წყაროა: ღმერთი ხედავს თავისი ხალხის ტანჯვას, ეცხადება მოსეს და აგზავნის მათ გასათავისუფლებლად. ამგვარად, გამოცხადება და წყალობა განუყოფელია, მაგრამ ყოველთვის გულისხმობს პასუხსაც და პასუხისმგებლობას.

თავები მე-12 და მე-13: პასექის დაწესება, კრავისა და ხმიადის შეწირვით, განამზადებს ქრისტიანულ ევქარისტიას - იესოს მაცხოვნებელი მსხვერპლის გახსენებას. სიკვდილის წინ, სწორედ ამ წმიდა სერობის დროს, იესოს მიერ მოხდა ევქარისტიის დადგინება.

თავი მე-14: მეწამული ზღვის გადალახვა - წმიდა ერის ჩამოყალიბების სასწაული და პასექის ღამეს ქრისტეს აღდგომის შესახებ უწყება. მართალნი და ბოროტნი სრულიად განსხვავებულ ბედს ექვემდებარებიან: ღმრთის ხალხის ხსნა, ხოლო მათი მტრების ტრაგიკული სიკვდილი. ეს მოვლენა უკანასკნელი განკითხვის წინასახეა.

თავი მე-15: მოსეს საგალობელი ღმრთის გამარჯვებას განადიდებს. გამოცხადების წიგნში ეს საგალობელი ნახსენებია როგორც ქრისტესა და წმიდანთა, რომლებიც მას მიჰყვებიან, საბოლოო გამარჯვების გამოცხადება: *„...გალობდნენ ღვთის მსახურის მოსეს გალობას და კრავის გალობას...“* (გამოცხ. 15, 3).

თავი მე-16: მანანის ძღვენი, იოანეს სახარების მე-6 თავის იესოს სწავლების მიხედვით, ევქარისტიისათვის სიმბოლური განმზადებაა. *„პური, ზეციდან გადმომავალი“, „ანგელოზთა საკვები“, „ყოველდღიური პური“* სიმბოლურად გამოხატავს მადლს, რომელსაც ღმერთი ყოველდღე აძლევს ადამიანს და რომელსაც ევქარისტიის საიდუმლო ანიჭებს მორწმუნეებს.

თავები მე-19 და 24-ე: სინას მთაზე აღთქმის დადება, რომლის ნიშანია ხალხზე შესხურებული სისხლი. ეს აღთქმა წინასწარმეტყველებს *„ახალ და მარადიულ აღთქმას“*, რომელსაც იესო თავისი სისხლით დაბეჭდავს ჯვარზე.

თავი მე-20: ათი მცნება - ღმრთის ნების შესაბამისად ცხოვრების ფუძემდებლური წესია. მეორე რჯულის წიგნის მე-5 თავში გამეორებული და დადასტურებული, ეს მცნებები იუდაური და ქრისტიანული მორალის საფუძველს წარმოადგენს და, ასევე, სინდისის ბუნებრივი კანონის შეჯამებას მოწმობის ორ დაფაზე დაწერილს: მოვალეობები ღვთისა და მოყვასის წინაშე.

თავი 32-ე: ოქროს ხბო, ყოველგვარი კერპთაყვანისმცემლობის სიმბოლო, წარმოადგენს ღმერთის მატერიალიზაციის, მისი მატერიალურ საგნად შემოფარგვლის სურვილს, რათა ადამიანმა მოიპოვოს უფრო ადვილად მანიპულირების შესაძლებლობა. მაგრამ ღმერთი ყოველგვარი ადამიანური წარმოდგენის მიღმაა. ადამიანისთვის ძნელია ღმერთზე ნებისმიერი წარმოდგენის უარყოფა მისი აბსოლუტური ტრანსცენდენტულობის დასამტკიცებლად. მაგრამ უნდა გვახსოვდეს და უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ღმერთზე ნებისმიერი წარმოდგენა, ყოველი ხატი ყოველთვის არაადეკვატურია. ჭეშმარიტი ღმერთის ჭეშმარიტი სახის ჩვენება მხოლოდ ქრისტეს ძალუძს: *„ვინც მე მიხილა, მან მამაც იხილა“* (იოან. 14,9); მხოლოდ იესო *„არის უხილავი ღვთის ხატება“* (კოლ. 1,15); *„იგია დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანაბეჭდი“* (ებრ. 1, 3).

,,გამოსვლის“ წაკითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს წიგნი, როგორც ავტორებისთვის, ასევე პირველი მკითხველებისთვის, რწმენის გახსენებას და, იმავდროულად, გაფრთხილებას წარმოადგენდა. ხსნის ისტორიაში ყოველი მოვლენა არის გარკვეული სახე, რომელიც მოწოდებულია, განგვიმარტოს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების არსი. ზემოთ ხსენებული სამი ეტაპი (განთავისუფლება, აღთქმა და თაყვანისცემა) თეოლოგიურ გზას გვიჩვენებს. ინიციატივა ღმერთის ხელშია, ის კაცობრიობას თავისუფლებას სთავაზობს და დებს აღთქმას, რომელიც ადამიანებს აერთიანებს და საშუალებას აძლევს მათ, თაყვანი სცენ ცოცხალ ღმერთს. ამგვარად, ვხედავთ, რომ განთავისუფლება, რომელიც ერის ჩამოყალიბებისთვის საფუძველს წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ ღმერთის განდიდების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მონობის ახალ ფორმად გადაქცევის საფრთხე ემუქრება, თანაც, შესაძლოა, უფრო მკაცრისაც კი, ვიდრე ეს იყო წინათ. ადამიანთა, ან ადამიანთა ჯგუფის, განთავისუფლება ხორციელდება არა იმისთვის, რომ საკუთარი თავი, როგორც ინდივიდი, ან ერი, გააღმერთოს, არამედ იმისთვის, რომ ნებაყოფლობით დარჩეს ღმერთის სამსახურში, რომელიც არის მისი ერთიანობისა და თავისუფლების ერთადერთი გარანტი.

სტანისლავ შტრაიხი

სტანისლავ შტრაიხი (Stanisław Streich), პოლონელი კათოლიკე მღვდელი, 1902 წლის 27 აგვისტოს დაიბადა ქალაქ ბიდგოშჩიში. მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში იგი არ უშინდებოდა განსაცდელს და იმეორებდა: „უნდა აღვასრულო ის, რისთვისაც მსხვერპლი გავიღე“. ფრანციშეკისა და ვლადისლავა შტრაიხების ღვთისმოსავ ოჯახში აღზრდილი, ის მზად იყო წმიდა ცხოვრებისათვის, მაგრამ არავის ეგონა, რომ ეს მას მოწამებრივ სიკვდილამდე მიიყვანდა. ნათლობისას დედამ იგი ღმერთს მიუძღვნა, რადგან სურდა მღვდელი გამხდარიყო. სტანისლავ შტრაიხმა ბავშვობა და ახალგაზრდობა ბიდგოშჩიში გაატარა. მან მალე იპოვა თავისი მოწოდება. უკვე საშუალო სკოლაში ყოფნისას, სახლში აწყობდა საეკლესიო მსახურებას, რითაც მღვდლად მსახურებისათვის ემზადებოდა. სტანისლავი ჩვეულებრივი, სიცოცხლით სავსე ყმაწვილი იყო. კარგად სწავლობდა, გატაცებული იყო ფოტოგრაფიით და განსაკუთრებით უყვარდა ბუნებაში დროის გატარება, მთაში ლაშქრობა და ხელდასხმის შემდეგაც ახალგაზრდებთან ერთად დადიოდა მთებში.

1920 წელს, კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სტანისლავი პოზნანის სასულიერო სემინარიაში შევიდა. შემდგომ კლასიკურ ფილოსოფიას ეუფლებოდა უნივერსიტეტში. 1925 წლის 6 ივნისს იგი მღვდლად იქნა ხელდასხმული პოზნანის საკათედრო ტაძარში, ეპისკოპოს სტანისლავ ლუკომსკის მიერ. 1927 წელს სტანისლავი ჯერ იესოს უწმიდესი გულის სამრევლოში დაინიშნა ვიკარიუსად, მოგვიანებით კი წმიდა მარტინის სამრევლოში, სადაც მან თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა მქადაგებლმა. შემდგომ ის კოზმინში გადავიდა, რათა სემინარიაში რელიგია ესწავლებინა.

მოდერნიზმის საფრთხის გამო, სამწყსო საქმიანობა მოითხოვდა ინტელექტუალურ განვითარებასა და ცოდნის მუდმივ განახლებას. 1933 წელს მამა სტანისლავი ჟაბიკოვოში, წმიდა ბარბარეს, ქალწულისა და მოწამის, სამრევლოს წინამძღვრად დაინიშნა. ეს სამრევლო, რომლის წევრები ლუბონის მაცხოვრებლები იყვნენ, მდებარეობდა რაიონში, რომელიც განსაკუთრებით დაზარალდა ეკონომიკური კრიზისის შედეგად, 1920-30-იანი წლების ბოლოს. ადგილობრივი მუშები კარგავდნენ სამსახურს და უმუშევართა რიგებს უერთდებოდნენ. მათი ოჯახები ხშირად უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებოდნენ. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მათში უკმაყოფილებას იწვევდა და, შედეგად, ისინი ყველანაირი პროპაგანდის მსხვერპლი ხდებოდნენ. კომუნისტები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე სულ უფრო მყარ პარტიულ სტრუქტურას ქმნიდნენ, მოსახლეობას კათოლიკე ეკლესიის მიმართ მტრულად განაწყობდნენ. მამა სტანისლავმა მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, იგი ხელმძღვანელობდა ქრისტიანული პრინციპით „დაძლიე ბოროტება სიკეთით“. მან მოაწყო საქველმოქმედო აქციები ღარიბებისა და გაჭირვებულების, განსაკუთრებით ბავშვებისა და მოხუცების დასახმარებლად და შემწეობისათვის მდიდარ მაცხოვრებლებს მიმართა. თუმცა, შეგროვებული თანხები არასაკმარისი აღმოჩნდა სიღარიბის საკითხის მოსაგვარებლად. გარდა ამისა, აუცილებელი გახდა ლუბონში ახალი ეკლესიის მშენებლობა, რადგან მრევლის რიცხვი მუდმივად იზრდებოდა და ჟაბიკოვოს სამრევლო მორწმუნეებს ვერ იტევდა. ამიტომ საეკლესიო ხელისუფლებამ მამა შტრაიხს ლუბონში ეკლესიის აშენება დაავალა.

მამა სტანისლავმა დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობა ახალი ეკლესიის მშენებლობაზე, რომელიც წმიდა იოანე ბოსკოს ეძღვნებოდა, მაგრამ ეკონომიკური კრიზისისა და მზარდი საზოგადოებრივი უკმაყოფილების, ასევე კომუნისტური აგიტაციის გაძლიერების შედეგად, ეს ადვილი საქმე არ იყო. ამ საკითხმა მრევლი გახლიჩა. უმეტესობა ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობდა; ბავშვებიც კი ხალისით ეხმარებოდნენ უფროსებს. სხვები მტრუ-

ლად იყვნენ განწყობილნი. მშენებლობამ, პირველ რიგში, პოლონეთის კომუნისტური პარტიის მხარდამჭერები და წევრები გააღიზიანა, რომელთა შტაბ-ბინა და იატაკქვეშა ტიპოგრაფია მშენებარე შენობის მახლობლად მდებარეობდა. მამა შტრაიხი გულმოდგინედ მუშაობდა, რათა მორწმუნეთა მხარდაჭერა და ეკლესიის მშენებლობისათვის საჭირო თანხები მოეპოვებინა. მის მიერ დაარსებული კათოლიკური ორგანიზაციები აწყობდნენ ბაზრობებს, სპორტულ შეჯიბრებებს, აუქციონებსა და კონკურსებს, საიდანაც შემოსული თანხა ეკლესიის ხაზინაში ირიცხებოდა და ღარიბების დასახმარებლად იყო განკუთვნილი.

1935 წელს დასრულდა ეკლესიის მშენებლობა და სტანისლავი გახდა მისი პირველი წინამძღვარი. მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. მამა სტანისლავი მუქარითა და შეურაცხყოფით სავსე ანონიმურ წერილებს ღებულობდა. ერთ ღამეს ეკლესიაში შეიჭრნენ, გაანადგურეს ძღვენთა საცავი, ლიტურგიკული სამოსი და სხვა ძვირფასი ნივთები. თავს დაესხნენ ეკლესიის მცველს და თავად მღვდელს ქვები დაუშინეს.

1938 წლის 27 თებერვალს, ლუბონის წმიდა იოანე ბოსკოს ეკლესიაში ბავშვებისათვის განკუთვნილი საკვირაო წირვის დროს, მამა შტრაიხი ტრაგიკულად მოკლეს. როდესაც იგი სახარების წასაკითხად ამბიონს მიუახლოვდა, შავ ლაბადაში გამოწყობილმა მამაკაცმა მას ორჯერ ესროლა. ერთი ტყვია მამა შტრაიხს სახეში მოხვდა, მეორე კი გაიჭედა სახარებაში, რომელიც მას მკერდზე მიედო. მკვლელმა წაქცეულ მღვდელს კიდევ ორჯერ ესროლა ზურგში. შემდეგ ამბიონზე ავიდა და შესძახა: „გაუმარჯოს კომუნიზმს! გაეთრიეთ ეკლესიიდან, ეს თქვენი თავისუფლებისთვისაა!“ ტაძარში მყოფი დაახლოებით ორასი მორწმუნე მღელვარებამ მოიცვა. მრევლის ერთ-ერთი წევრი, ფრანციშეკ კრავჩინსკი მკვლელს თავს დაესხა, თორმეტი წლის იგნაცი პაჩინსკი კი მის დასახმარებლად გაიქცა. მკვლელი კიდევ სამმა მამაკაცმა დააკავა და განაიარაღა. ის პოლიციას გადასცეს, რითაც განრისხებული ბრბოს მიერ ლინჩის წესით გასამართლებას გადაურჩა. მკვლელი აღმოჩნდა ვავრჟინეც ნოვაკი, ფანატიკოსი ანტიკლერიკალი, ათეისტი და კომუნიზმის მხარდამჭერი, რომელიც შემდგომში გაასამართლეს და 1939 წელს სიკვდილით დასაჯეს.

1938 წლის 3 მარტს გაიმართა მამა სტანისლავ შტრაიხის დაკრძალვა, რომელსაც დაახლოებით ოცი ათასი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის, სასულიერო პირები და ეკლესიის იერარქები. პოზნანისა და ბიდგოშჩის ყველა ეკლესიაში ზარები რეკდა. დაკრძალვა მასობრივ კათოლიკურ და ეროვნულ დემონსტრაციად იქცა. წირვის შემდეგ მოწამის ცხედარი მის მიერ აგებული იოანე ბოსკოს ეკლესიის გვერდით დაკრძალეს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ და პოლონეთში კომუნიზმის შემდგომმა ბნელმა წლებმა ხელი შეუშალა რწმენისათვის წამებული მამა სტანისლავ შტრაიხის ნეტარად შერაცხვას. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ კრიმინალური სისტემის დამხობის შემდეგ.

2017 წლის 28 ოქტომბერს დაიწყო მამა სტანისლავ შტრაიხის ბეატიფიკაციის ეპარქიალური ეტაპი. 2024 წლის 20 იანვარს მისი წმიდა ნაწილები გადაასვენეს ლუბონში, წმიდა იოანე ბოსკოს ეკლესიაში. ამავე წლის 23 მაისს, პაპმა ფრანცისკემ დაამტკიცა მამა სტანისლავ შტრაიხის მოწამეობის შესახებ განკარგულება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი რწმენის სიძულვილის გამო მოკლეს („odium fidei“), რითაც გაიხსნა გზა მისი ბეატიფიკაციისათვის. მანამდე იგი ატარებდა საპატიო ტიტულს ,,მონა ღვთისა“.

2025 წლის 24 მაისს, პოზნანში, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს საკათედრო ტაძრის მოედანზე გაიმართა მამა სტანისლავ შტრაიხის ნეტარად შერაცხვის ცერემონია, რომელიც, პაპ ლეონ XIV-ის სახელით, აღასრულა კარდინალმა მარჩელო სემერარომ, წმიდანთა საქმეების დიკასტერიის პრეფექტმა. ნეტარი მამა ვლადისლავ შტრაიხის ლიტურგიული მოხსენიების დღე 27 თებერვალს აღინიშნება.

მოამზადა ვერიკო ნოზაძემ

წმ. იოანე ბოსკოს ეკლესია ლუბონში

მსახიობი ფილმისა „დავითის სახლი“ თავისი რწმენის გზაზე მოგვითხრობს

მსახიობმა მაიკლ ისკანდერმა, რომელმაც პოპულარულ Prime Video-ს სერიალში „დავითის სახლი“ მეფე დავითის როლი შეასრულა, 2025 წლის დასაწყისს განაცხადა, რომ კათოლიკობა მიიღო. იგი კოპტ მართლმადიდებელთა ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, ამიტომაც ამ არჩევანს მიიჩნევს არა საკუთარი ფესვების უარყოფად, არამედ **„ღვთის მოწოდებაზე“** პასუხად. 24 წლის ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც წარმოშობით ეგვიპტიდანაა, შეერთებულ შტატებში გაიზარდა; CNA-თან მან ისაუბრა რწმენის იმ გზაზე, რომელმაც იგი კათოლიკე ეკლესიასთან სრულ ზიარებამდე მიიყვანა.

გარდამტეხი მომენტი რამდენიმე წლის წინ დადგა, როდესაც ისკანდერი თითქმის შემთხვევით შევიდა მანჰეტენზე მდებარე წმიდა პატრიკის ტაძარში. „საკურთხეველს შევხედე, ვიცოდი, რომ იქ ევქარისტია იყო და გავიფიქრე: „მეც მსურს ზიარება“, თავი დავხარე და მთელი საათის განმავლობაში ვტიროდი. მეჩვენებოდა, რომ იქ არავინ იყო: მხოლოდ მე და ღმერთი“, - იხსენებს მსახიობი. იმ დღიდან მან დაიწყო ეკლესიაში სიარული, წირვაში მონაწილეობა. და რაც უფრო მეტად ეცნობოდა დავითის პერსონაჟს სერიალისათვის, მით უფრო მეტად მწიფდებოდა მასში ეს მოწოდება. „ეს ჩემი სახლია. ღმერთი აქ მიხმობს“.

„დავითის სახლის“ მეორე სეზონის დასრულების შემდეგ ისკანდერი მღვდელს ესაუბრა და კათოლიკედ გახდომის სურვილი გაუმხილა. რადგან კათოლიკე ეკლესია კოპტური მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებებს აღიარებს, 21 აგვისტოს მაიკლმა მხოლოდ მრწამსი წარმოთქვა და ამგვარად შეუერთდა კათოლიკე ეკლესიას. იმ დღის წირვისას საპასუხოდ ჟღერდა 89-ე ფსალმუნი, რომელიც სწორედ დავითის ცხებაზე საუბრობს. „გმადლობ, მამაო, რამეთუ განზრახ შემირჩიე ეს ფსალმუნი“, - წარმოთქვა მსახიობმა; მაგრამ მღვდელმა შეუსწორა: „მე თუ მკითხავ, მაიკლ, მე არ შემირჩევია. ეს დღე შენ თავად შეარჩიე. ღმერთი გეუბნება, რომ შენ სახლში ხარ“.

ისკანდერმა განაცხადა, რომ იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც უძღები შვილი, რომელიც მამამ მიიღო: „ეს უმშვენიერესი დღე იყო და ვგრძნობდი, რომ სწორედ ჩემს სახლში ვიყავი“. დავითის როლმა ღრმა გავლენა მოახდინა მაიკლის რწმენაზე: „რაც უფრო მეტს კითხულობ მის შესახებ, მით უფრო მეტად წვდები მის გულს: მას მთელი არსებით უყვარდა ღმერთი და როდესაც სულიერად ეცემოდა, ინანიებდა“, - განმარტა მან. გადამწყვეტი აღმოჩენა იყო მისთვის დავითისა და საულის შედარება: „ღმერთმა მორჩილი გულის გამო აირჩია დავითი; ხოლო საულმა საკუთარი თავი დააყენა მთავარ ადგილას“. ამანაც განაპირობა მასში სულიერი ცვლილება: „საქმე ჩემში როდია. საქმე მასშია. ქრისტესთვის ცხოვრება განთავისუფლებაა“.

დღეს მაიკლ ისკანდერი თავისი შემოქმედებითი მოწოდებით ამოწმებს საკუთარ რწმენას: „ყველაზე მშვენიერია, უარვყოთ თავი და ღმერთისთვის ვიცხოვროთ“.

წყარო: CNA
Catholic News Agency https://www.catholicnewsagency.com›.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის კვირეული

წელს ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის კვირეულისთვის (2026 წლის 18-25 იანვარი) ლოცვები და განსჯანი მომზადდა სომხური სამოციქულო ეკლესიის მორწმუნეთა მიერ, სომხური კათოლიკური და ევანგელური ეკლესიების მორწმუნეებთან ერთად. კვირეულის მასალა მომზადებული, რედაქტირებული და განხილულია სომხეთში, ეჩმიაძინის სომხური სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ საყდარში, მირონის (წმიდა ზეთის) კურთხევისა და მთავარი ტაძრის ხელახალი კურთხევის დღეებში, რომელიც შედგა ათწლიანი მასშტაბური რესტავრაციის შემდეგ, 2024 წლის 28-29 სექტემბერს. ამ ღონისძიებამ სომეხ ხალხს და ადგილობრივი ეკუმენური ჯგუფის წევრებს უნიკალური შესაძლებლობა მისცა საერთო ქრისტიანულ რწმენაზე დასაფიქრებლად და აღსანიშნავად. წარმოდგენილი მასალა შთაგონებულია ლოცვა-ვედრების საუკუნოვანი ტრადიციებით, საგალობლებით, რომლებიც სომხეთის უძველეს ეკლესია-მონასტრებში აღმოცენდა და რომელთაგან ზოგიერთი მე-4 საუკუნით თარიღდება. ქრისტიანთა ერთობის ლოცვის კვირეული მოუწოდებს მორწმუნეებს, რომ გამოიყენონ ეს საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობა და გააღრმავონ ქრისტეში ზიარება, რომელიც მთელი მსოფლიოს ქრისტიანებს აერთიანებს. ერთიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო იდეალი, ეს ღვთაებრივი დადგენილებაა: ის ეკლესიის მოწოდების არსს წარმოადგენს, იმ მოწოდების, რომელიც, მრავალფეროვნების მიუხედავად, ქრისტეში ჩვენი ცხოვრების ჰარმონიულ ერთიანობას აჩვენებს. ეს ღვთაებრივი ერთიანობა ჩვენი მისიის გულს წარმოადგენს და მას ყოველთვის ამხნევებდა იესო ქრისტეს ღრმა სიყვარული. როგორც მოციქული პავლე აღნიშნავს ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში: *„ერთია სხეული და ერთია სული, როგორც ხართ კიდეც მოწოდებულნი თქვენი მოწოდების ერთ სასოებაში“* (4,4). წლევანდელი წლისათვის შერჩეული ეს სახარებისეული მუხლი სრულად ასახავს ქრისტიანული ერთიანობის თეოლოგიურ სიღრმეს. წმიდა წერილში უძველესი დროიდან იღებს სათავეს ღმერთის მოწოდება ერთიანობისაკენ, ძველი აღთქმიდან მოყოლებული. ფსალმუნები ღვთის ხალხის წევრთა შორის ერთიანობის სილამაზეს უგალობენ და აცხადებენ: *„აჰა, რა კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები!“* (ფსალმ. 133 (132), 1).

ახალ აღთქმაში იესო ქრისტე ერთიანობის გაგებას სულიერ განზომილებაში ამაღლებს, რაც მამასა და მას შორის ღრმა ურთიერთობას ასახავს. მის მიმდევრებს შორის ერთიანობა მხოლოდ კონფლიქტის არარსებობაზე კი არ მეტყველებს, არამედ იმ ღრმა სულიერ კავ-

შირზე, რომელიც წმიდა სამების ერთიანობას ასახავს. იესოს ლოცვა იოანეს სახარებაში (17, 21) მორწმუნეთაგან ისეთივე ერთიანობას ითხოვს, როგორც ის და მამა არიან ერთნი; ამით აჩვენებს, რომ ჩვენი ერთიანობა დამყარებულია მასთან ჩვენს ურთიერთობაზე და კეთილი უწყების გაზიარების ჩვენს საერთო მისიაზე.

იესოს მთავარი მცნება - *,,გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი"* (იოან. 13:34-35), ხაზს უსვამს იმას, რომ ეს სიყვარული ჩვენი ერთიანობის არსია. პავლეს წერილები ყურადღებას ამახვილებს ეკლესიაში ერთიანობის მნიშვნელობაზე და მოგვიწოდებს, რომ *„მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოწოდებულნი ხართ, მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელებით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში"* (ეფეს. 4,1-3). ეფესელთა 4,4-ში მოცემული იდეა, რომ „ერთია სხეული", თავად ეკლესიის ბუნებას ცხადყოფს.

ქრისტიანობა სცილდება კულტურულ და ეროვნულ საზღვრებს და მთელი მსოფლიოს მორწმუნეებს აერთიანებს რწმენასა და იმედში. ქრისტიანული ერთიანობის მნიშვნელობაზე ხაზგასმისას, პავლე დასძენს, რომ „ერთია სული" და გულისხმობს სულიწმიდას, რომელიც შემწეა ამ თანაზიარებისა და ეკლესიას თავისი მისიის შესასრულებლად ძალას მატებს. მორწმუნეთათვის სულიწმიდა სიცოცხლის წყარო და სულიერი გზამკვლევია, თავდებია იმისა, რომ ეკლესიის განსხვავებულ წევრებს რწმენა და საერთო მიზანი აერთიანებთ. სულიერი სიმწიფე გულისხმობს განსხვავებების მიღებასა და ერთიანობის ძიებას, რაც იმავე ძალისხმევას ითხოვს ჩვენგან, რასაც დოქტრინალური სიზუსტის გადმოცემა. ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენს ერთობაში ავსახოთ ქრისტე და მსოფლიოს დავანახოთ მისი სიყვარული და მადლი. თუ ვიცხოვრებთ ამ ღვთაებრივი მოწოდებით, შევასრულებთ ჩვენს მისიას და ვადიდებთ ქრისტეს, მის მეუფებას დედამიწაზე.

მოდით, ყველამ გავიზიაროთ ერთიანობის ეს საღმრთო მოწოდება და მივიღოთ იგი არა როგორც აბსტრაქტული იდეალი, არამედ როგორც ჩვენი რწმენის სასიცოცხლო გამოხატულება. სამყაროში, სადაც ქრისტეს სხეული დასერილია ჭრილობებით სხვადასხვა ტრადიციასა და აღმსარებლობას შორის არსებული განხეთქილებებით, მოციქული თითოეულ ჩვენგანს მოგვიწოდებს ერთიანობისაკენ, არა მხოლოდ როგორც განსხვავებულ საეკლესიო თემს, არამედ როგორც ცალკეულ საკრებულოში მყოფ პიროვნებებს. ჩვენი ერთიანობით არა მხოლოდ ვამოწმებთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, სიყვარულსა და ძალას, არამედ მისი სწავლების არსსაც ვახორციელებთ.

ერთმანეთის მხარდაჭერით და მრავალფეროვანი ნიჭისა და ტალანტის მეშვეობით, ჩვენ ქრისტეს გულის ანარეკლი ვხდებით დედამიწაზე და მის საქმეს ვაგრძელებთ (ლოცვის კვირეულისათვის მომზადებული ბროშურის პრეზენტაციიდან). საქართველოში ქრისტიანთა ერთობისათვის ეკუმენური ლოცვა გაიმართება 23 იანვარს.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

რწმენა და ქველმოქმედება

როდესაც იტალიაში, ქალაქ ვერონაში, ჩემი კონგრეგაციის საკრებულოს მონახულებას ვაპირებ, ვცდილობ, რომის საკრებულოსაც ვესტუმრო, სადაც, იტალიისა და რომის „კარიტასის“ მეგობრებთან შეხვედრის გარდა, სულიერებისა და შინაგანი განტვირთვის სივრცეს ვეძებ.

შარშანდელი ვიზიტი სასიამოვნო მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა. ფაქტობრივად, პარასკევიდან, 14 ნოემბრიდან, შესაძლებლობა მქონდა, მონაწილეობა მიმეღო კარიტასის მუშაკთა იუბილეში, წმიდა იოანე ლატერანის ბაზილიკაში და წირვის შემდეგ დავსწრებოდი პაპ ლეონ XIV-ის სამოციქულო მოწოდების „Dilexi te“ პრეზენტაციას. ეპარქიის იუბილეს ფარგლებში, საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომლებმა დრო დაუთმეს ლოცვასა და „Dilexi te“-ზე ფიქრს, რომლის მიზანიც „ქრისტეს ხორცის“ (Dilexti te n.103), ანუ ღარიბების უკეთ მსახურების ახალი გზების მუდმივი ძიება იყო. შეხვედრას უძღვებოდა პალერმოს წმიდა იოანე მახარებლის სახელობის თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, მამა ვიტო იმპელიცერი, რომელმაც ისაუბრა იმაზე, თუ რა სურდა ეთქვა ეკლესიისათვის პაპ ლეონ XIV-ს ამ დოკუმენტით. მომხსენებლის აზრით, Dilexi te-ს გაგების გასაღები არის „genius pauperum“, ანუ „რევოლუციური“ განცხადება, რომ ღარიბები „წარმოადგენენ კონკრეტული გონიერების სუბიექტებს, რომლებიც აუცილებელია ეკლესიისა და კაცობრიობისათვის“. პაპი ლეონ XIV თავის სამოციქულო მოწოდებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ღარიბები არიან კონკრეტული გონიერების მატარებლები, რომლებიც არსებითია ეკლესიისა და კაცობრიობისათვის. ეს „გონიერება“ გაგებულია, როგორც სულიერი სიბრძნე, რომელიც სიღარიბის გამოცდილებიდან მომდინარეობს და უნდა განვითარდეს ღარიბებისადმი სიყვარულით, რაც გამოიხატება ზრუნვაში, სამართლიანობისაკენ სწრაფვასა და მათი უფლებების დაცვაში. სამოციქულო მოწოდება, როგორც თავად ლეონ XIV განმარტავს, მან მემკვიდრეობით მიიღო პაპ ფრანცისკესაგან, რომელიც უკვე მუშაობდა მასზე. ამიტომ, თავისი საყვარელი წინამორბედის კვალდაკვალ, პაპი პრევოსტი „აგრძელებს ეკლესიის მუდმივ და ცოცხალ სწავლებას არა მხოლოდ ღარიბთა შესახებ, არამედ ღარიბების წყალობითაც, რომლებიც „სახარების ჭეშმარიტ მასწავლებლებად“ მიიჩნევიან“. პაპისთვის ღარიბები „ოჯახური საქმეა“: „ქრისტიანებს არ

შეუძლიათ ღარიბების აღქმა მხოლოდ სოციალურ პრობლემად: ეს „ოჯახური საკითხია“. ისინი „ერთი ჩვენგანი“ არიან“ (Dilexti te n.104). სიღარიბე გაგებულია, როგორც „კუთვნილების, ურთიერთპატივისცემის, საეკლესიო ლოგიკის, ძმობის“ ელემენტი.

ამ გამოცდილების შემდეგ, კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო „ღარიბთა მსოფლიო დღეში“ მონაწილეობა, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში, რომელიც სავსე იყო გაჭირვებული ადამიანებითა და ქველმოქმედების მუშაკებით. სულ რაღაც ორი დღით ადრე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რისი მონაწილეც გავხდებოდი კვირას, 16 ნოემბერს, ღარიბთა იუბილეს კონტექსტში, წმიდა კარის გავლით და წმიდა წირვით, რომელიც პაპმა ლეონ XIV-მ აღავლინა. განუმეორებელი იყო, ასევე, პავლე VI-ის აუდიენციის დარბაზში (არქიტექტორი პიერ ლუიჯი ნერვი) შემდგომი სადილი, რომელიც პაპთან და ქველმოქმედების დიკასტერიის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულ ათას სამას გაჭირვებულ ადამიანთან ერთად იქნა გაზიარებული. მისალმებისას წმიდა მამამ დამსწრეებს მიმართა: „ეს სადილი, ახლა რომ მივირთმევთ, განგებითა და წმიდა ვინსენტის საკრებულოს მიერ დიდი გულუხვობით არის შემოთავაზებული, რომელსაც გულითად მადლობას ვუხდით. ეს წელი მათთვის ღირსშესანიშნავია, რადგან კონგრეგაციის დაარსების 400 წლისთავს აღნიშავენ“. როგორც წმიდა პეტრეს ბაზილიკაში ევქარისტიის აღვლენისას, ასევე პავლე VI-ის დარბაზში სადილის დროს, მე თავს ვგრძნობდი საქართველოში ჩვენი ეკლესიის ცოცხალ ნაწილად, და როდესაც ამდენი ღარიბი ადამიანის სახეს ვუყურებდი, ვფიქრობდი ყველა იმ გაჭირვებულ ადამიანზე, რომლებიც ჩვენ გვერდით ცხოვრობენ. ფილმის კადრებივით ვხედავდი გაჭირვებულთა სახეებს, რომლებიც ყოველდღიურად, „საქართველოს კარიტასის“ სხვადასხვა პროექტის წყალობით, ყურადღებას,

მხარდაჭერასა და კონკრეტულ დახმარებას იღებენ. გამახსენდა ბათუმის ღამის თავშესაფარში მცხოვრები უსახლკარო ადამიანების, ალკოჰოლზე დამოკიდებული ადამიანების, ოჯახსა და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და ეკონომიკური და ეგზისტენციალური სირთულეების წინაშე მდგარი ოჯახების ტანჯვის უამრავი ისტორია. ჩვენ ვცდილობთ, მათ გვერდში დავუდგეთ „კარიტასის“ პროექტების მეშვეობითაც, რათა გაჭირვება შევუმსუბუქოთ, უპირველეს ყოვლისა, მოვუსმინოთ და შევეცადოთ აღვუდგინოთ ღირსება და საკუთარი თავის პატივისცემა. თუ მართალია, და ასეც არის, რომ ღარიბები „ქრისტეს ხორცი“ არიან, მაშინ ჩვენ უნდა შევთავაზოთ მათ საუკეთესო, რაც შეგვიძლია, მაგრამ, ამავე დროს, უნდა ვისწავლოთ მათგან, რათა ხელახლა აღმოვაჩინოთ ცხოვრების ის არსებითი მნიშვნელობა, რომლის მოპარვასაც თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოება ყოველდღიურად ცდილობს. რომის კარიტასის მეგობრების მიერ შემოთავაზებული ჭეშმარიტად უნიკალური და სრულიად უსასყიდლო გამოცდილების შემდეგ, დავფიქრდი, თუ როგორ შეგვიძლია მომავალი „ღარიბთა მსოფლიო დღის“ აღნიშვნა საქართველოს ეკლესიაში.

პაპ ლეონ XIV-ის სამოციქულო მოწოდების შუქზე, ჩვენი „კარიტასი“ ასევე შეეცდება ხელი შეუწყოს რეფლექსიისა და შესწავლის მომენტებს, რათა გააღრმავოს თავისი ფუნდამენტური კონცეფციები და შეისწავლოს შესაძლო კონკრეტული გზები, რათა ჩვენს გაჭირვებულ ძმებსა და დებს, რომლებსაც პაპი „სახარების ჭეშმარიტ მასწავლებლებს“ უწოდებს, შესთავაზოს ის „გონივრული ქველმოქმედება“, რომელიც გვიხსნის გულსა და ხელებს დასახმარებლად, ასევე, ავითარებს თავმდაბლობას, რათა მიიღონ ის ხმა, რომელიც მომდინარეობს მათი კომუნიკაციის, ღირსების აღდგენისა და მოსმენის მოთხოვნილებიდან. რომაული გამოცდილების გაზიარება მიზნად ისახავდა ასევე იმას, რომ საკუთარ თავს შევეკითხოთ, როგორ შეგვიძლია გავხდეთ მოყვასნი მათთვის, რომლებიც გასაჭირში იმყოფებიან და როგორ გარდავქნმათ ღარიბების შესაწევნად განხორციელებული ყოველი ქმედება და ინიციატივა „გონივრულ ქველმოქმედებად“.

დასასრულს, გაგიზიარებთ რომის ეპარქიაში პაპის ვიკარიუსის, კარდინალ რეინას მოსაზრებას, რომელმაც, წმიდა იოანე ლატერანის ბაზილიკაში წირვის დროს, თავის ქადაგებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რწმენა და ქველმოქმედება განუყოფელია. „სიცოცხლეს მხოლოდ იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ის საჩუქრად იქცევა. ამიტომ, ეპარქიის საქველმოქმედო ორგანიზაციები, როგორც ყველა ეპარქიის, მოწოდებულნი არიან, ქველმოქმედება რაოდენობრივად კი არ გაზომონ, არამედ გასცენ სიყვარული, ღიმილი და იმედი“.

და ლორედანა მონეტი

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

იანვარი

1	ღვთისმშობლობა, მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე
6	ღმრთის გაცხადება
11	უფლის ნათლისღება
12	იეზუიტ მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)
18	ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი
23	ერთობლივი ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის
23	ყოვლადწმიდა მარიამისა და წმიდა იოსების ქორწინება
25	წმ. პავლეს მოქცევა, ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული, არალში მეშურნეთის ეკლესიის დღეობა
25	რიგითი მე-3 კვირადღე ღვთის სიტყვისა
27	წმ. ნინოს დღესასწაული (ცალკეულ საკრებულოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს), საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მფარველი, წმ. ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი
31	წმ. იოანე ბოსკო, სალელ მამათა და დედათა კონგრეგაციების დამაარსებელი

სარჩევი

ეპისკოპოსის საშობაო მილოცვა..... 2

რედაქტორის გვერდი ... 3-4

პაპის გზავნილი 5

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 6-7

ჩვენი ეკლესია..... 8-13

ჩანართი:.....I-IV

ბიბლიური გვერდი.... 14-15

ახალი წმიდანები 16-17

გზა კათოლიკე ეკლესიისაკენ..... 18

ეკუმენური გვერდი ... 19-20

სოციალური გვერდი - Caritas Georgia 21-22

ინფორმაცია..... 23

ჟურნალ ,,საბას" რედაქცია გილოცავთ შობას და ახალ წელს!